პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 254 (11560)
პარასკევი
30
ოქტომბერი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მივაღწიოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას! წინ ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

28 ოქტომბერს მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. პალატების ცალ-ცალკე სხდომებმა განიხილეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.

დეპუტატები თავიანთ გამოხსვლებში უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნავენ, თუ რა დიდი წარმატებანი მოიპოვა ჩვენმა ხალხმა წელს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში. როგორც ჩვენი დროის თვალსაჩინო მოვლენაზე ლაპარაკობენ ორატორები ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ვიზიტის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში და საუოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის შესახებ, რომელიც საბჭოთა მთავრობის მეთაურმა წარუდგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომას. დეპუტატები მხურვალედ იწონებენ სესიის განსახილველად წარდგენილს ჩვენი ქვეყნის 1960 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებს და ხაზს უსვამენ, რომ ეს პროექტები საკვანძო შეესაბამება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანებს.

კავშირის საბჭოში

დილის 10 საათზე კრემლის დიდ სასახლეში კავშირის საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **პ. პ. ლობანოვის** თავმჯდომარეობით გაიხსნა **კავშირის საბჭოს** სხდომა. კამათში პირველი გამოვიდა დეპუტატი **ა. ა. ალიმოვი** (უზბეკეთის სსრ). რესპუბლიკის მშრომელები, თქვა მან, წარმატებით ამთავრებენ შვიდწლეულის პირველ წელს. სამრეწველო წარმოების ეთვის გეგმა შესრულებულია 22 ოქტომბერს, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ასეული მილიონობით მანეთის ღირებულებისა პროდუქცია. ვადამდე შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის (უბრალოდ, ხორცის, რძის, მატყლის, საკვებელ-მაჟადაის, ბამბის, ლეგუმინული კულტურების მიყიდვის გეგმა. მოყვანილია ბამბის უზარმაზარი მოსავალი. სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 636 ათასი ტონით მეტი ნედლი ბამბა, ვიდრე შარშან ამ დროისათვის. ნედლი ბამბა 99 პროცენტი ჩაბარებულია პირველი ხარისხისა.

დეპუტატმა ალიმოვმა შემდეგ ილაპარაკა ამაზე, რომ საჭიროა გადიდეს საწყაგი მიწების ფართობი რესპუბლიკაში, დაჩქარდეს ჩარეკვის ჰესის მშენებლობის დაწყება და მალე იქნას ათვისებული უდაბნო მიწები სამეურნეოდ.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **ი. ლ. ჩურინი** (ბერმის ოლქი). ოლქის მეტალურგებმა, ნავთობგადამამუშავებლებმა, მანქანათმშენებლებმა, ქიმიკოსებმა, მენავთობეებმა, ხე-ტყის დამამზადებლებმა, ტრანსპორტელებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, ამბობს იგი, ვალდებულება იკისრეს შვიდწლიანი გეგმა შეასრულონ 5-6 წელიწადში, ხოლო 1959 წლის გეგმა — 20 დეკემბრისათვის. ამ ვალდებულებებს საწარმოებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრი კოლქმეურნე ასრულებს. ოლქში დიდი მუშაობაა გაჩაღებული წარმოების ტექნოლოგიის, ორგანიზაციისა და ავტომატიზაციის სრულყოფისათვის; ფართოდ ვრცელდება ბრიგადის მოწინავე მეთოდები.

ორატორი გამოთქვამს რამდენიმე წინადადებას და კერძოდ მოითხოვს დაჩქარდეს ვოტკინსკის ჰესის მშენებლობა.

დეპუტატი **ა. ი. ზოლოვი** (ბელორუსიის სსრ) თავის სიტყვაში შეეხო წარმოების სპეციალიზაციის საკითხებს. ღონისძიებანი, რომლებიც რესპუბლიკაში განხორციელდა საავტომობილო მრეწველობის სპეციალიზაციისათვის, საშუალებას გვაძლევს გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება თითქმის მილიარდნახევარი მანეთით და დავზოგოთ 350 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდება. მინსკის სატრაქტორო ქარხნის სპეციალიზაცია საშუალო სიმძლავრის უნივერსალური თელიანი ტრაქტორების გამოსაშვებად და ამ ტრაქტორებისათვის დიზელის ძრავების წარმოების ორგანიზაცია საშუალებას გვაძლევს 1965 წლისათვის 2,5-ჯერ გავადიდოთ ტრაქტორების გამოშვება მიმდინარე წელთან შედარებით.

ამასთან დაკავშირებით ორატორი ამბობს, რომ საჭიროა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა გააუმჯობესოს საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მუშაობის ხელმძღვანელობა.

დეპუტატმა **პ. ზ. მეშკოვმა** (კრასნოდარის მხარე) ილაპარაკა მხარის კოლმეურნეობათა გამოცდილებაზე სიმინდისა და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების მეორე მოსავლის მიღებაში, რაც საკვების გადიდების დამატებითი წყაროა. მხარეში დასახულია 1960 წელს ორი მოსავალი მოიყვანონ 670 ათას ჰექტარ ფართობზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ ცოცხალი წონის ხორცის წარმოება მიმდინარე წელთან შედარებით დაახლოებით 50 ათასი ტონით. შემდეგ დეპუტატი ამბობს, რომ საჭიროა წარმოებას მივუახლოვოთ მუშაობა საოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების კონსტრუირების დარგში. მისი აზრით, მიზანშეწონილია მოეწყოს საკონსტრუქტორო განყოფილებანი ზონალურ სამეცნიერო საკვლევ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებში იმ მიზნით, რომ მათ გამოიყენონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა გამომგონებლობითი აზრი.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **კ. დ. პეტუხოვს** (მოსკოვი). იგი ამბობს, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მარცვის გარდაქმნის შემდეგ ფაბრიკა-ქარხნები უკეთ წყვეტენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. თუ 1957 წელს მოსკოვის საქალაქო სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში მთლიანი პროდუქციის მატებამ 5,3 პროცენტი შეადგინა, ამა წლის 9 თვეში ახალი საწარმოო ფართობების აუშენებლად მატებამ 9,5 პროცენტამდე მიაღწია. დედაქალაქის მრეწველობამ 20 ოქტომბრისათვის შეასრულა ათი თვის გეგმა. საპროექტო და ტექნოლოგიური ინსტიტუტების დახმარებით მოსკოვში დაიწყო 32 კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული საწარმოს, 112 საამქროს და საწარმოო უბნის შექმნა.

მოსკოველმა მშენებლებმა ამა წლის 9 თვეში დაახლოებით ორი მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ააშენეს, რაც 30 პროცენტით მეტია, ვიდრე შარშან იმავე პერიოდში.

გამოდის დეპუტატი **ვ. ვ. გრიშინი** (რსფსრ). პროფკავშირებს, ამბობს იგი, მცირე როლი როდი ეკუთვნით შვიდწლეულის დიდებული გეგმების შესრულებისათვის საბრძოლველად მშრომელთა დარაზმვაში. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელთა მოძრაობა. ჩვენს ქვეყანაში ამჟამად ამ მოძრაობაში მონაწილეობს 188 ათასზე მეტი ბრიგადა, ცვლა და უბანი და დაახლოებით სამი მილიონი მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი. მრავლდება ეკონომიკური ანგარიშგების მიმდევართა რიგები.

იზრდება გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხვი, დიდდება მათი წვლილი ტექნიკური პროგრესის საქმეში. მარტო მიმდინარე წელს დაინერგა 1 მილიონ 400 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა დანერგვით მიღებული ეკონომია შვიდ მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც შეტანილია სესიის განსახილველად, აღნიშნავს შემდეგ ორატორი, გამსჭვალულია კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ღრმა ზრუნვით ხალხის კეთილდღეობისათვის, იმისათვის, რომ უფრო სრულად და ყოველმხრივ დაკმაყოფილდეს საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

— ჩვენ, მუშები, აღტაცებით ვადევნებდით თვალყურს ყოველ სიტყვას, რომელსაც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი წარმოთქვამდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, — ამბობს ნიკნი ტაგილის მეტალურგიული კომბინატის მეფოლადე დეპუტატი **ვ. ნ. ლუკიანოვი** (სვერდლოვსკის ოლქი). — ყოველი ადამიანისათვის გასაგებმა ნიკიტა სერგის-ძის ობრაოო და გულში ჩამწვდომმა სიტყვებმა მშვიდობის შესახებ მსოფლიოს უბრალო ადამიანებს იმის იმედი ჩაუსახა გულში, რომ დადგება ისეთი დრო, როცა მსოფლიოს ყველა ხალხი დარწმუნებული იქნება, რომ უშფოთველი მომავალი ექნება.

დეპუტატმა ლუკიანოვმა შემდეგ თქვა: ჩვენი საქმე კარგად მიდის, საბჭოთა სამშობლო სულ უფრო ძლიერი და მდიდარი ხდება. ხოლო ცხოვრება — სულ უფრო ლამაზი და შეძლებული. სულ უფრო იზრდება მუშების, ინჟინრების, ყველა საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი ენერგია ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების ზრდისათვის ბრძოლაში. ოლქის სარეწველო საწარმოთა შრომიერებმა ადამიანის შემოქმედებითი ენერგია ათი თვის გეგმა. პროდუქციის წარმოება გასულ წელთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა.

დეპუტატი **მ. ი. შუმაუსკასი** (ლიტვის სსრ) აღნიშნავს, რომ რესპუბლიკას შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების ერთი პირსპექტივაში აქვს. მომავალ წელს მისი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია მიაღწევს დონეს, რომელიც შვიდწლიანი გეგმით დასახულია 1961 წლისათვის.

რესპუბლიკის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, რომლებიც სწრაფად ვითარდება, ბევრ ელექტროენერგიას მოითხოვს. ამ მხრივ დიდ დახმარებას გაგვიწევდა ახალი მძლავრი თბოელექტროსადგურის მშენებლობა.

კავშირის საბჭოს დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **ნ. ბაირამოვი** (თურქმენეთის სსრ); **ნ. ი. სმირნოვი** (ლენინგრადი), **ხ. ა. ორუჯევი** (აზერბაიჯანის სსრ).

ეროვნებათა საბჭოში

ეროვნებათა საბჭოს დილის სხდომა გაიხსნა კრემლის თეატრის შენობაში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ვ. პეიოვის** თავმჯდომარეობით. სიტყვა ეძლევა დეპუტატ **მ. ი. პლუდონს** (ლატვიის სსრ).

იგი ამბობს, რომ ლატვიის სს რესპუბლიკაში შვიდწლეულის მანძილზე კიდევ უფრო განვითარდება ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მრეწველობა, ნავსაშენებლობა, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, თევზის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. დავალებანი მრეწველობის პროდუქციის წარმოების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულების შემცირების დარგში, რომლებიც დაწესებულია 1959 წლის სახელმწიფო გეგმით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდება.

დეპუტატი პლუდონი შემდეგ ეხება საკითხებს, რომელთა გადასაჭრელად საჭიროა მოკავშირე ორგანიზაციათა დახმარება. რესპუბლიკისთვის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა ბალტიისპირეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურიდან რიგამდე მაღალძაბვიანი ხაზის მშენებლობა. ორატორის აზრით ელექტროსადგურთა მშენებლობის სამინისტრომ უნდა განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი, რათა ეს ხაზი საექსპლოატაციოდ გადაიცეს მომავალ წელს. დეპუტატი აგრეთვე სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ 1960 წელს დაიწყოს პლიავინიასის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე დაუგავაზე.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **მ. ა. ისკენდეროვი** (აზერბაიჯანის სსრ). იგი აღნიშნავს, რომ მომავალი წლის გეგმით აზერბაიჯანში კიდევ უფრო განვითარდება ნავთობის, გაზის, ქიმიური მრეწველობა. გადიდდება ბამბის, ჩაის ფოთლის, აგრეთვე რძისა და ხორცის წარმოება.

ორატორი ხაზს უსვამს, რომ 1960 წელი აზერბაიჯანის კულტურის შემდგომი აყვავების წელი გახდება. აქ ყველა სახეობის სწავლებაში ჩაბმული იქნება დაახლოებით 850 ათასი კაცი, ესე იგი რესპუბლიკის ყოველი მეოთხე მცხოვრები მოსწავლე იქნება.

დეპუტატი ისკენდეროვი მხურვალედ უჭერს მხარს წინადადებას იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს 1960 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატი **გ. ი. ჩოგოვაძე. (გ. ი. ჩოგოვაძის** სიტყვა ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღეგანდელი ნომრის მეორე გვერდზე — **რედ.**).

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის განსაკუთრებით დიდ საერთაშორისო მნიშვნელობაზე ილაპარაკა დეპუტატმა **ა. რიზაევმა** (უზბეკეთის სსრ). ყველა ჩვენგანს, საბჭოთა ადამიანებს, განაცხადა მან, ახარებს, რომ ცივი ომის ყინული ლხვება, რომ ორი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა კეთილი დასაბამი მისცეს სასიცოცხლო მნიშვნელობის საერთაშორისო საკითხთა განხილვას.

ორატორი მოუთხრობს სხდომას, თუ როგორ ხდება ჩამორჩენილი ძველი ბუხარა ერთ-ერთ უდიდეს ინდუსტრიულ რაიონად საბჭოთა აღმოსავლეთში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმის პროექტი და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომლებიც წარდგენილია უმაღლესი საბჭოს განსახილველად, შედგენილია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გეგმაზომიერი და სწრაფი ეკონომიური და კულტურული კომბინების მეფოლადე დეპუტატი **ვ. ნ. ლუკიანოვი** (სვერდლოვსკის ოლქი). — ყოველი ადამიანისათვის გასაგებმა ნიკიტა სერგის-ძის ობრაოო და გულში ჩამწვდომმა სიტყვებმა მშვიდობის შესახებ მსოფლიოს უბრალო ადამიანებს იმის იმედი ჩაუსახა გულში, რომ დადგება ისეთი დრო, როცა მსოფლიოს ყველა ხალხი დარწმუნებული იქნება, რომ უშფოთველი მომავალი ექნება.

დეპუტატმა ლუკიანოვმა შემდეგ თქვა: ჩვენი საქმე კარგად მიდის, საბჭოთა სამშობლო სულ უფრო ძლიერი და მდიდარი ხდება. ხოლო ცხოვრება — სულ უფრო ლამაზი და შეძლებული. სულ უფრო იზრდება მუშების, ინჟინრების, ყველა საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი ენერგია ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების ზრდისათვის ბრძოლაში. ოლქის სარეწველო საწარმოთა მშრომელებმა ადამიანის შემოქმედებითი ენერგია ათი თვის გეგმა. პროდუქციის წარმოება გასულ წელთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა.

დეპუტატი **მ. ი. შუმაუსკასი** (ლიტვის სსრ) აღნიშნავს, რომ რესპუბლიკას შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების ერთი პირსპექტივაში აქვს. მომავალ წელს მისი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია მიაღწევს დონეს, რომელიც შვიდწლიანი გეგმით დასახულია 1961 წლისათვის.

რესპუბლიკის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, რომლებიც სწრაფად ვითარდება, ბევრ ელექტროენერგიას მოითხოვს. ამ მხრივ დიდ დახმარებას გაგვიწევდა ახალი მძლავრი თბოელექტროსადგურის მშენებლობა.

კავშირის საბჭოს დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **ნ. ბაირამოვი** (თურქმენეთის სსრ); **ნ. ი. სმირნოვი** (ლენინგრადი), **ხ. ა. ორუჯევი** (აზერბაიჯანის სსრ).

კავშირის საბჭოში

კავშირის საბჭოს საღამოს სხდომა მიმდინარეობდა კრემლის თეატრის შენობაში კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ **ნ. უ. ბაზანოვის** თავმჯდომარეობით. პირველი გამოვიდა დეპუტატი **ა. ე. კოჩინიანი** (სომხეთის სსრ). ამხ. კოჩინიანმა მოიწონა სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი და ილაპარაკა რესპუბლიკის მრეწველობის განვითარებაზე, რომელმაც ვადამდე შეასრულა მიმდინარე წლის ათი თვის პროგრამა.

— რამდენიმე დღის წინათ მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის დელეგაცია, რომელიც აზიის ქვეყნებს ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში მეც ვიყავი, — ამბობს დეპუტატი **ნ. ზარიპოვი** (ტაჯიკეთის სსრ). ყველგან, სადაც კი ვიყავით, — ინდონეზიაში, ინდოეთში, ბირმაში — გამოთქვამდნენ დიდ აღტაცებას საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის გამო. დელეგაცია იყო ჩვენი სამშობლოს ავტორიტეტის უდიდესი ზრდის მოწმე.

დეპუტატი **ი. გ. კებინი** (ესტონეთის სსრ), ამბობს, რომ ესტონეთში განხორციელდა დიდი სამუშაოები ენერგეტიკული ბაზის გასაფართოებლად. აქ შენდება ბალტიისპირეთის დიდი სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური. ოქტომბრის 42-ე წლისთავისათვის ვადაზე ერთი წლით ადრე ამუშავდება ამ ელექტროსადგურის პირველი ტურბინა.

შეეხო რა შემდეგ რესპუბლიკის თევზის მრეწველობის განვითარებას, ორატორმა თქვა, რომ ესტონელმა მეთევზეებმა იკისრეს ვალდებულება ვადამდე შეასრულონ შვიდწლიანი გეგმა.

დეპუტატმა **ვ. ი. კონტოტაევმა** (რუსეთის სფსრ) თავის გამოსვლაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარებას. მოსკოველთა მომარაგებისათვის ყარტოფილთა და ბოსტნეულეთი შეიქმნა 39 სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა, რომლებმაც წელს 123 ათასი ტონა კარტოფილი მოიყვანეს — სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1958 წელს. ბოსტნეულის წარმოება ამ მეურნეობებში 200 ათას ტონამდე გადიდდა.

ამხ. კონტოტაევი, ისევე როგორც სხვა ორატორებმა, მხარი დაუჭირა წინადადებას სსრ კავშირის 1960 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატი **ა. ბ. ლუბანი** (მოლდავეთის სსრ) და **მ. აბდიყულოვი** (ყირგიზეთის სსრ).

29 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

სოფლის მშრომელთა დიდი წარმატება

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის 1959 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის სულადობის ზრდის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ახორციელებენ რა შვიდწლიანი გეგმის იმ დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ნაკისრ ვალდებულებებს, რომლებიც დადგენილია სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 1959 წელს მიაღწიეს პირუტყვის სულადობის შემდგომ ზრდას, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებას.

ხორცის შესყიდვის წლიური გეგმა შესრულდა ვადამდე 100,2 პროცენტით, კვერცხისა — 101 პროცენტით, მატყლისა — 102 პროცენტით.

ხორცი ამა წლის 20 ოქტომბრისათვის შესყიდულია 5 მილიონ 986 ათასი ტონა (ცოცხალი წონით), რაც 1 მილიონ 723 ათასი ტონით, ანუ 40 პროცენტით მეტია, ვიდრე შესყიდული იყო შარშან 9 თვესა და 20 დღეში, და 2,5-ჯერ მეტია, ვიდრე 1953 წლის ამავე პერიოდში.

კვერცხი მიმდინარე წელს შესყიდულია 5 მილიარდ 381 მილიონი ცალი, რაც 1 მილიარდ 105 მილიონით, ანუ 26 პროცენტით მეტია, ვიდრე შესყიდული იყო 1958 წლის 20 ოქტომბრისათვის, და 2,2-ჯერ მეტია, ვიდრე დამზადებული იყო 1953 წლის შესაბამის პერიოდში.

მატყლი 1959 წლის 20 ოქტომბრისათვის შესყიდულია 343 ათასი ტონა, რაც 43 ათასი ტონით, ანუ 14 პროცენტით მეტია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, და 1,9-ჯერ მეტია, ვიდრე 1953 წლის იმავე პერიოდში.

რძე შესყიდულია 22 მილიონ 287 ათასი ტონა, რაც 2 მილიონ 797 ათასი ტონით, ანუ 14 პროცენტით მეტია, ვიდრე იყო 1958 წლის 20 ოქტომბერს, და 2,3-ჯერ მეტია ვიდრე 1953 წლის შესაბამის პერიოდში.

მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმის შესრულება 1959 წლის 20 ოქტომბრისათვის ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ:

	ხორცი		რძე		კვერცხი		მატყლი	
	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1959 წელი პროცენტებით 1958 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1959 წელი პროცენტებით 1958 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1959 წელი პროცენტებით 1958 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1959 წელი პროცენტებით 1958 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით
რუსეთის სფსრ	100,1	143	92	115	100,3	127	101	116
უკრაინის სსრ	94	126	98	114	104	124	104	114
ბელორუსიის სსრ	92	122	96	118	104	135	79	107
უზბეკეთის სსრ	99,8	134	104	127	109	118	103	107
ყაზახეთის სსრ	136	188	91	107	117	130	102	119
საქართველოს სსრ	86	123	96	114	95	119	102	114
აზერბაიჯანის სსრ	90	122	96	111	96	105	105	110
ლიტვის სსრ	95	140	99	115	97	118	82	103
მოლდავეთის სსრ	82	109	112	130	89	106	106	115
ლატვიის სსრ	108	173	90	113	90	148	91	109
ყირგიზეთის სსრ	97	149	92	107	102	130	105	112
ტაჯიკეთის სსრ	98	152	105	120	112	126	100	106
სომხეთის სსრ	85	112	98	107	65	110	100,6	104
თურქმენეთის სსრ	85	114	98	103	98	119	97	101
ესტონეთის სსრ	100,1	158	86	116	104	146	87	136

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა გრძელდება.

• • •

1959 წელს კვლავ ვითარდებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობა. პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამა წლის 1 ოქტომბერს შეადგენდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 48 მილიონ სულს ანუ 1958 წლის 1 ოქტომბრისათვის არსებული რაოდენობის 118 პროცენტს, აქედან ძროხისა — 15,7 მილიონ სულს, ანუ 112 პროცენტს. ღორის სულადობა შეადგენდა 46,2 მილიონ სულს, ანუ 1958 წლის 1 ოქტომბრისათვის არსებული რაოდენობის 119 პროცენტს, ცხვრისა — 111,9 მილიონ სულს, ანუ 104 პროცენტს, ფრინველისა — 243,3 მილიონ ფრთას, ანუ 150 პროცენტს.

1953 წლის 1 ოქტომბერთან შედარებით პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 37 პროცენტით, აქედან ძროხისა 53 პროცენტით; ღორის სულადობა — 78 პროცენტით, ცხვრისა — 19 პროცენტით, ფრინველისა — 85 პროცენტით.

პირუტყვის რიცხვის ზრდა მოკავშირე რესპუბლიკებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1959 წლის 1 ოქტომბრისათვის პროცენტებით 1958 წლის 1 ოქტომბრთან შედარებით

	მსხვილფეხა-რქიანი პირუტყვი	აქედან ძროხა	ღორი	ცხვარი	ფრინველი
რუსეთის სფსრ	119	112	120	104	153
უკრაინის სსრ	121	116	118	104	141
ბელორუსიის სსრ	114	112	118	81	156
უზბეკეთის სსრ	110	116	116	99	150
ყაზახეთის სსრ	113	106	123	109	150
საქართველოს სსრ	105	104	124	104	160
აზერბაიჯანის სსრ	101	106	112	104	133
ლიტვის სსრ	125	113	121	84	138
მოლდავეთის სსრ	121	122	122	102	160
ლატვიის სსრ	113	105	111	95	122
ყირგიზეთის სსრ	107	108	130	104	219
ტაჯიკეთის სსრ	106	112	123	90	210
სომხეთის სსრ	105	109	114	106	166
თურქმენეთის სსრ	100,2	103	100,7	96	158
ესტონეთის სსრ	118	105	110	107	130

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

მოსკოვი. 27 ოქტომბერი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს III სესია. კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა კრემლის დიდ სასახლეში. სურათზე (წინა პლანზე): დეპუტატები საქართველოს სს რესპუბლიკიდან. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

ეროვნებათა საბჭოში

გ. ი. ჩოგოვაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ვეგებებით ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავს. ჩვენი გული სავსეა სიხარულით და სიამაყით ჩვენი მძლავრი სამშობლოსათვის, მისი დიდი ისტორიული საქმეებისათვის. საქმეებით, რომლებმაც აღტაცებაში მოიყვანა მთელი მოწინავე კაცობრიობა, აღნიშნეს საბჭოთა ადამიანებმა შვიდწლედის პირველი წელი. ჩვენი სამშობლოს ალმის გაგზავნა მთვარეზე, მესამე კოსმოსური რაკეტის გაშვება მთვარის შემოსაფრენად, ატომური ყინულმჭრელ „ლენინის“ მწყობრში ჩადგომა, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიული ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში — ასეთია ამ უკანასკნელი დროის უდიდესი ამბები, რომლებმაც შესძრეს მთელი მსოფლიო.

საბჭოთა ქვეყნის თვალსაჩინო წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მკაფიოდ ადასტურებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების ტრიუმფს, სოციალისტური წყობილების ყოვლისმძლე ძალას, რომლის დროს ადამიანის გენია და მისი შრომა სასწაულებს ახდენენ.

საბჭოთა ადამიანებს კანონიერად ახარებთ როგორც ჩვენს ქვეყანაში მიღწეული წარმატებანი, ისე საბჭოთა კავშირის წარმატებანი საგარეო პოლიტიკაში. ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით ჩვენი პარტიის: და ჩვენი მთავრობის თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას თავისი კეთილი ნაყოფი მოაქვს. ამხანაგ ხრუშჩოვის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში და მის სიტყვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

ისე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხი, ქართველი ხალხი გულითადად ულოცავს ნ. ს. ხრუშჩოვს მშვიდობისა და მეგობრობის მისიის წარმატებით დამთავრებას და მთელი გულით ეუბნება მას მადლობას ბოლშევიკური მგზნებარებისა და ლენინური პრინციპულობის გამო საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის დაცვაში, დაუცხრომელი თავდადებული ბრძოლის გამო საბჭოთა ადამიანებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის. **(ტაში).**

საქართველოს მშრომელები საბჭოთა კავშირის ყველა სხვა რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად, აღფრთოვანებულნი ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარმატებებით, თავდადებით იბრძვიან შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სკკპ XXI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

მთლიანი პროდუქციის გამოშვების ამა წლის ცხრა თვის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ შეასრულა 103,9 პროცენტით, გადააჭარბა რა გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონეს 9,3 პროცენტით. მრეწველობის გასული წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა მოწმობს, რომ რესპუბლიკა გადაჭარბებით შეასრულებს 1959 წლის დავალებას ყველა უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის მხრივ.

ამ უკანასკნელ წლებში უდიდესი ძვრები მოხდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. საკავშირო მთავრობის უშუალო დახმარებით უკანასკნელ ორ წელიწადში ჩვენში შეიქმნა რესპუბლიკისათვის სრულიად ახალი მრეწველობის დარგები — ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებელი.

რესპუბლიკაში ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობის განვითარებასთან ერთად საწარმოებში მოვიდა ბევრი ახალგაზრდობა, რომელმაც საშუალო სკოლა დაამთავრა. წელს მარტო საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში სამუშაოდ ან სასწავლებლად მიღებულია საშუალო განათლების მქონე 6 ათასზე მეტი ახალგაზრდა. მათგან ნახევარზე მეტი მუშაობს და სწავლობს მანქანათმშენებელი, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობის საწარმოებში.

მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის შედეგად მიღწეულია მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გეგმა 1959 წლის ცხრა თვეში შესრულდა 102.8 პროცენტით; 1958 წლის დონე გადაჭარბებულია 5,8 პროცენტით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ახორციელებენ რა პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ცოტა წარმატება როდი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოების გადიდებაში. საქართველოს მეჩაიეებმა პირნათლად შეასრულეს სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის ნაკისრი ვალდებულებანი, მოკრიფეს და ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ოქტომბრის დამდეგისათვის ჩააბარეს 140 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ 34 ათასი ტონით მეტი, ვიდრე მოსავლიანობის მიხედვით სარეკორდო 1953 წელს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წელს აგრეთვე წარმატებით გაართვეს თავი სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებას. 1959 წლის 1 ოქტომბრისათვის დამზადებულია ბევრად მეტი, ვიდრე შარშან, ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, აბრეშუმის პარკი, ბოსტნეული, ეთერზეთოვანი კულტურები და დაფნის ფოთოლი. კარგად მიმდინარეობს მაღალი ხარისხის ქართული თამბაქოს დამზადება, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის თამბაქოს მრეწველობისათვის. სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების წლიური დავალება უთუოდ შესრულდება.

მწვანე ჩაის ფოთლის კრეფის მნიშვნელოვან ზრდასთან დაკავშირებით არსებული ჩაის ფაბრიკების სიმძლავრე უკვე ალიმიტებს ჩაის ფოთლის ხარისხოვან გადამუშავებას. ამიტომ მიმდინარე წელს ჩვენ დავიწყეთ მუშაობა 40 ჩაის ფაბრიკის რეკონსტრუქციისათვის. ეს საშუალებას მოგვცემს მინიმალური კაპიტალური ხარჯებით მწვანე ჩაის ფოთლის გადამუშავება ამ ფაბრიკებში გავადიდოთ 20 ათასი ტონით.

ჩვენს რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება ყურძნის სახელმწიფო შესყიდვა. შარშან შესყიდული იყო 153 ათასი ტონა, ხოლო 1965 წელს შესყიდვა გაიზრდება ერთიორად და მეტად. ამავე დროს რესპუბლიკის მეღვინეობის მრეწველობის საწარმოო ბაზას შეუძლია ნორმალურად გადაამუშაოს მხოლოდ 80 ათას ტონამდე ყურძენი. ჩვენ დავიწყეთ მეღვინეობის მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია და გაფართოება, რომლებიც უკვე წელს მოგვცემენ სიმძლავრეთა მატებას 15 ათასი ტონით და კაპიტალური დაბანდების ეკონომიას 20 მილიონ მანეთამდე.

ცნობილია, თუ რა უდიდეს ზრუნვას იჩენენ პარტია და მთავრობა მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. წელს ჩვენ მარტო ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებით საექსპლოატაციოდ გადავცემთ 250 ათასამდე კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, ხოლო 1960 წელს განზრახულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს 280 ათასი კვადრატული მეტრი. ეს მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე წინა წლებში. მაგრამ საბინაო მშენებლობის განვითარების ტემპი ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩება მოთხოვნილებას.

უნდა ითქვას, რომ მთლიანად, რესპუბლიკაში როგორც სამრეწველო, ისე საბინაო მშენებლობის გეგმები ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად როდი სრულდება. ამის ერთ-ერთი არსებითი მიზეზია ჩვენი საძშენებლო ორგანიზაციების სუსტი უზრუნველყოფა ასაწყობი რკინაბეტონისა და სხვა საშენი ნაწარმისა და დეტალების გამოსაშვები საწარმოო სიმძლავრეებით და არა საკმაო აღჭურვილობა სამშენებლო მექანიზმებით. ამ ჩამორჩენის დაძლევის მიზნით ვთხოვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაავალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გაადიდოს კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკის სამშენებლო ინდუსტრიაში 1960 წელს 15 მილიონი მანეთით და საშენ მასალათა მრეწველობაში — 20 მილიონი მანეთით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით იქ მკვეთრად გაიზარდა საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მშენებლობის მოცულობა. იმ საშუალთა ღირებულებამ, რომლებიც სრულდება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა სახსრებით, უკვე წელს მიაღწია 450 მილიონ მანეთს და განუხრელად გაიზრდება შემდეგ წლებში.

სოფლად სამშენებლო სამუშაოთა ძირითად ნაწილს ახორციელებენ ჩვენი პარტიის რჩევით შექმნილი საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები. მაგრამ ისინი ძალზე სუსტად არიან აღჭურვილი მექანიზმებით და სრულიად არადამაკმაყოფილებლად არიან უზრუნველყოფილი წყალსადენის მილებით, სანტექნიკური და ელექტროტექნიკური მასალებით. მაგალითად, 1959 წელს რესპუბლიკაში კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის მისაყიდად გამოყოფილი იყო სულ 1.100 ტონა წყალსადენის მილები, მაშინ როცა მარტო წყალსადენების უკვე დაწყებული მშენებლობის დასამთავრებლად საჭიროა 6 ათასი ტონა. სანტექნიკური მასალები და მოწყობილობა სრულიად არ გამოუყვიათ. რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობისათვის საჭირო მექანიზმებისა და მასალების გამოყოფას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი არ ითვალისწინებს 1960 წელსაც.

ვთხოვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინიმალური მოთხოვნილებანი მექანიზმებზე, მოწყობილობაზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, სანტექნიკურ და ელექტროტექნიკურ მასალებზე, წყალსადენის მილებსა და ლითონზე 1960 წლის სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად და მისცეს სათანადო მითითებანი საკავშირო მგეგმავ ორგანოებს.

როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკაში ყველა დარგიდან ყველაზე მეტად განვითარებულია კვების მრეწველობა. მისი პროდუქცია შეადგენს რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 42 პროცენტს. ამავე დროს ამ დარგში დასაქმებულია სამრეწველო მუშათა მთელი რიცხვის მხოლოდ 18 პროცენტი. ეს გარემოება ერთგვარ სიძნელეებს ქმნის საქართველოს სახალხო მეურნეობაში მუშათა დასაქმების საკითხის გადაჭრაში. ამიტომ მიზანშეწონილია შემდგომ განვითარდეს რესპუბლიკაში მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც, ჯერ ერთი, დაასაქმებდნენ მუშა ხელს, მეორე, ნაკლებად მოითხოვდნენ შემოზიდულ მასალებს, კერძოდ, ლითონებს. ჩვენი შეხედულებით, ამ პირობას შეესაბამება რესპუბლიკაში ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობის შემდგომი განვითარება, რომელსაც, როგორც ვთქვით, საფუძველი უკვე ჩაეყარა. ვთხოვთ სსრ კავშირის მთავრობას გამოიტანოს ამ საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილება.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის 1960 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები უზრუნველყოფენ ყველა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ მძლავრ განვითარებას, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა სოციალისტური კულტურის ახალ აყვავებას. მხარს ვუჭერ დეპუტატთა წინადადებას, რომ დამტკიცდეს სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტები საბიუჯეტო და ეკონომიური კომისიების შესწორებებით.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა შეასრულონ დასახული სახალხო-სამეურნეო გეგმა და ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. **(ტაში).**

ვალენტინა გაგანოვას ბრიგადას მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება

ვიშნი ვოლოჩეკი (ალინინის ოლქი), 28 ოქტომბერი, (საკუთარი). ერთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ვიშნი ვოლოჩეკის ბამბეულის კომბინატის მრთველთა ბრიგადირი ვალენტინა გაგანოვა გადავიდა საწარმოს ყველაზე ჩამორჩენილ ბრიგადაში.

ახლა ეს ბრიგადა ერთ-ერთი საუკეთესოა. მას მიენიჭა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება.

თითქმის ცენტნერნახევარ ნართს იღებენ გეგმის გადამეტებით ყოველდღიურად ამ ბრიგადის წევრები თავიანთ მანქანებზე. ახლა ისინი უკვე დეკემბრის უკანასკნელი დღეების ანგარიშში მუშაობენ და მთელ პროდუქციას მხოლოდ პირველი ხარისხისას აბარებენ.

სოციალისტური შრომის გმირის ვალენტინა გაგანოვას მაგალითისამებრ კომბინატის 70 ბრიგადირი და ოსტატის თანაშემწე სათავეში ჩაუდგა ჩამორჩენილ კოლექტივებს.

დაე, თქვენც ასე გაგეხაროთ!

ვალენტინა გაგანოვა — ქართველ ფეიქრებს

ვალენტინა გაგანოვა

თბილისი — ვიშნი ვოლოჩეკი

გუშინ ღამით ჩვენი რედაქციის მუშაკი ტელეფონით დაუკავშირდა ვიშნი ვოლოჩეკის ბამბეულის კომბინატის ბრიგადირს, სოციალისტური შრომის გმირს ვალენტინა გაგანოვას და მიულოცა ბრიგადისათვის კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდების მინიჭება. გაგანოვამ თქვა:

გმადლობთ გულითადი მოლოცვისათვის. მთელი ჩვენი ბრიგადა აღფრთოვანებულია კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდების მინიჭების გამო. ჩვენი ბრიგადა დიდი ხნის მანძილზე ჩამორჩებოდა, სისტემატურად ვერ ასრულებდა დავალებას; ხშირად იყო გაცდენებისა და შრომის დისციპლინის სხვა დარღვევათა ფაქტები. ახლა კი ჩვენ მოწინავეთა რიგებში ვართ, მაგალითს ვაძლევთ სხვებს. ეს წარმატება იოლად როდი მოგვიპოვებია, დიდი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა გაგწიეთ, რათა მიგვეღწია დისციპლინის განმტკიცების, ერთსულოვნების, საქმიანობისადმი ერთგული დამოკიდებულებისათვის. ახლა ბრიგადის თვითეული წევრი დავალებებს ყოველდღიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ჩვენი ბრიგადის მიერ გამოშვებული პროდუქცია მხოლოდ მაღალ ხარისხოვანია. განსაკუთრებით მჩქეფარე დღეებია ახლა. არ ვიშურებთ ძალასა და ენერგიას, რომ პირნათლად შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებები და სასახელო საწარმოო საჩუქრები მივუძღვნათ ოქტომბრის რევოლუციის 42-ე წლისთავს. ჩვენი ბრიგადის მუშაობის მაღალი შეფასება გვავალებს ვამუშაოთ ისე, როგორც შეფერის კომუნისტური კოლექტივის წევრებს. გთხოვთ პირადად ჩემი და ჩვენი ბრიგადის ყველა წევრის მხურვალე სალამი გადასცეთ ელენე გეგილაშვილს, რომელთანაც შეჯიბრებაში ვარ ჩაბმული და მისი სახით მეცხრამეტე ბამბეულის კომბინატის თვითეულ მშრომელს, ყველა ქართველ ფეიქარს, ყველა მოწინავეს, რომელიც სამუშაოდ წავიდა ჩამორჩენილ უბანზე. ჩვენს ყველა მიმდევარს ვუსურვებ მოიპოვებინოს კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდება.

უკიდურესის ზღვრებზე

ახალგაზრდობა იმარჯვებს

კოლმეურნეობა „საქართველოს“ ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი ავთანდილ ქაიხოსროშვილი და მისი მეგობრები დილის 6 საათზე ფეხზე იყვნენ. ცივგომბორის მთიდან, რომელიც საგარეჯოს ზემოდან დაჰყურებს, კვლავ ნაცრისფერი ღრუბლები მოიწევდნენ და არავინ იცოდა იმ დღეს ქარი იქნებოდა. წვიმა თუ სეტყვა. მხოლოდ ერთი რამ იყო ცხადი: საჭიროა სიჩქარე და კიდევ სიჩქარე.

იმ დღესაც ავთანდილს, სანამ კიბეს ჩაირბენდა, მამის ძახილი შემოესმა: — ბიჭო, სადილი მაინც წაგეღო! მერე დედის წუწუნიც მოხვდა ყურს. ის კი მაინც გარბოდა. მიუხედავად დაღლილობისა, თავს მხნედ გრძნობდა, გულშიც გაურკვეველი სიხარული ჩაღგროდა. ამის მიზეზი მას არ ესმოდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, მარჯვენა ფეხზე ამდგარს რაღაც სასიხარულო უნდა განეცადა.

გაჩერებასთან საბარგო ავტომანქანის ძარაში შველივით ისკუპეს გურამ ტაბატაძემ, შალვა ჭიაურელმა. იქვე ბუყნენ ახალგაზრდა კომბაინერები მიხეილ ნაგულაშვილი, გიორგი ჩეკურაშვილი, ალექსი ქურხული, ვანო მათიაშვილი.

ციოდა. ამიტომაც გოგოებს თავიანთი ბებიებისა თუ დედების თავშლები მოეხვიათ, შარვლები ჩაეცვათ. მათ დანახვაზე ავთანდილმა ხელი გულზე მიიდო და გადაჭარბებული თავაზიანობით წარმოთქვა:

— ჩვენს ბებიებს კეთილი საღამი!

მერე გაცინებულ „ბებიებს“ სათითაოდ ჩაავლო ხელი და ავტომანქანაში აიყვანა. სწორედ მაშინ გაჭკრა ავთანდილს სიხარულმა. სამუშაოდ წამსვლელთა შორის მან პირველად შეამჩნია გულო თადიაშვილი და ნორა გორმეზაშვილი. მართლაც სასიხარულო იყო ოდნავ განებივრებული გოგონების სამუშაოზე გამოსვლა.

აქ ჩვენ მოგვიხდება წინ გარბენა. გულო თადიაშვილი და ნორა გორმეზაშვილი არც მეორე და არც შემდგომ დღეებში დარჩენილან სახლში. ქალიშვილებს ძალიან მოეწონათ, რომ ახალგაზრდული ბრიგადის წევრები არა მარტო შრომობდნენ, არამედ თავისუფალ დროს მღეროდნენ და ცეკვავდნენ კიდეც. რაკი კოლექტიური შრომის სიხარული იგემეს და თანაც ამხანაგების თანგრძნობა ჰპოვეს, მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ.

საით მიეჩქარებოდნენ ასე დილადრიან ავთანდილი და მისი მეგობრები?

ახლავე გიამბობთ. ეს იყო წელს, ივნისში. საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობის შეკრებაზე, რომელსაც ორასამდე ქალიშვილი და ჭაბუკი დაესწრო, მოხსენებით გამოვიდა კომკავშირის რაიკომის მდივანი ნუგზარ გურჯიძე.

— შარშან, — თქვა მან, — ჩვენი რაიონის ახალგაზრდობამ შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა. მოეწყო ლაშქრობა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად, რასაც მთელი რესპუბლიკის ახალგაზრდობამ დაუჭირა მხარი. ნაყოფიც კარგი მივიღეთ. ახალგაზრდობის ძალებით რაიონში ჩადებულ იქნა 50 ათასი ტონა სილოსი, რის შედეგად უკეთესად გამოკვებეს პირუტყვი, გადიდდა მისი პროდუქტიულობა.

ცუდი არ იქნება, თუ წელსაც გავაგრძელებთ ამ კარგ ტრადიციას. მით უმეტეს, რომ წელს თვითეულ საფუძველ ძროხაზე უნდა მივიღოთ 2.500 ლიტრი რძე. ეს კი ნიშნავს, რომ უფრო მეტი სილოსი, უხეში საკვები და კონცენტრატები დავამზადოთ.

შეკრების მონაწილეებმა მხურვალედ დაუჭირეს ძხარი ამ წინადადებას. რაიონის ახალგაზრდობის სახელით ვალდებულება იკისრეს წელს დაეშზადებინათ 60 ათასი ტონა სილოსი, 8 ათასი ტონა უხეში საკვები, საუკეთესო აგროვადებში დაემუშავებინათ 2 ათასი ჰექტარი სასილოსე სიმინდის ნათესი. მიმართვაში, რაც შეკრების მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს, საგარეჯოელი ახალგაზრდები წერდნენ: — მოგიწოდებთ ჩაებათ მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის, ორი მილიონი ტონა სილოსისათვის ლაშქრობაში. მტკიცე საკვები ბაზის შექმნა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისა და შვიდწლედის პირველ წელს ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულების საფუძველი იქნება.

ამ სიტყვებში ღრმა შინაარსი და ახალგაზრდული მგზნებარება იყო ჩაქსოვილი, რასაც სწრაფად გამოეხმაურნენ გურჯაანელები, სიღნაღელები, წითელწყაროელები, საქართველოს სხვა რაიონების კომკავშირელები.

დაიწყო ლაშქრობა, რომლის ბედი ახალგაზრდობას უნდა გადაეწყვიტა.

აი ამიტომ მიეშურებოდნენ ივრის ჭალებში შეკრების მეორე დღეს ქაიხოსროშვილის ბრიგადის წევრები.

ახალგაზრდები მუშაობის დაწყებას რომ აპირებდნენ, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სათანადო ტექნიკაც გადასცა. მათ განკარგულებაში იყო ოთხი სილოსსაჭრელი კომბაინი, 8 ავტომანქანა, ტრაქტორი. სწრაფად ეზიდებოდნენ დაჭრილ მწვანე მასას ავტომძღოლები ანზორ ილაური, აკაკი გრატიაშვილი, იოსებ როსტომაშვილი.

დასილოსება წარმოებდა მიწისზედა მეთოდით. ეს ხერხი პირველად რაიონში მანაველმა კომკავშირელებმა გამოიყენეს. იგი ნაკლებად შრომატევადია, არ მოითხოვს კაპიტალურ დაბანდებას, სილოსის ხარისხი კი შესანიშნავია.

დილიდან გვიან ღამემდე არ წყდებოდა ტრაქტორებისა და ავტომანქანების გუგუნი ივრის ჭალებში. ახალგაზრდები ჩქარობდნენ, რადგან მალე მოსავლის აღება უნდა დაწყებულიყო, სასილოსე სიმინდიც უკვე შემოსული იყო. ახლა წვიმებმა საქმე გააჭირეს, მთელი დღეები გადაუღებლივ ცრიდა, უარესი იყო ქარის დროს, როცა დაკუწული მწვანე მასა ჰაერში იფანტებოდა. ბევრი სიძნელე გადალახეს მაშინ ახალგაზრდებმა, მაგრამ საქმეს არ უღალატეს, დაპირება ქარს არ გაატანეს.

არანაკლებ დაძაბულ პირობებში იყვნენ მანაველი, სართიჭალელი, ყანდაურელი, ბოგდანოვკელი, ნინოწმინდელი და სხვა კოლმეურნეობათა კომკავშირელები. მანაველებს ვალდებულება თერთმეტი ათასი ტონა სილოსი უნდა ჩაეფოთ. საოცარი იყო, საიდან გააჩნდა ამდენი ძალა კომკავშირის კომიტეტის მდივანს. ერთი შეხედვით ფიზიკურად სუსტსა და ნაზ ბიჭს აგგებულების ერთ-ერთ სიროზნეშვილს, რომელიც მთელი დღე ზეიმინის, ჩალის და ნაჩალუკის მინდვრებში დადიოდა, ამავე დროს იმდენს ახერხებდა, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისა და ეკონომისტების მოეელო.

გადიოდა დღეები, დაძაბულ შრომაში იბადებოდნენ ახალგმირები. მთელი სოფლის სიცოცხლე დაიმსახურეს კომკავშირელმა ენთუზიაზისტებმა თამაზ ავაქიშვილმა, ნანული ბუბუნაშვილმა, ელიკო მახარობლიშვილმა, გურამ ბიხაშვილმა, ნუნუ ბერაძემ, ლიაშვილმა.

კომკავშირის რაიკომის ახალგაზრდული შტაბი ყოველთვიურად აჯამებდა მიღებულ ცნობებს. რაიონულ ცენტრში კარგად ინახებოდნენ ვის უჭირდა, ვინ იყო წინ, ვის რა დახმარება ესაჭიროებოდა.

ივლისის ბოლო რიცხვებში კომკავშირის რაიკომის ბიუროს ერთხელ კიდევ იმსჯელა ახალგაზრდების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემოწმებისა და რეორების შესახებ. გამოირკვა, რომ, ცალკეულ წარმატებებთან ერთად, ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს, განსაკუთრებით მუშახელის რაციონალურად გამოყენების საქმეში.

კვლავ მოეფინა მინდვრებს „საველე ფურცლები“ — ვალდებულება იკისრე, კიდევაც შეასრულე! რაიონული გაზეთი „სოციალისტური სიტყვა“ ყოველ ნომერში ბეჭდავდა წერილებს რეკორდებით „80 ათასი ტონა სილოსისა“ ...

სილოსის დამზადებასთან ერთად ახალგაზრდების ყურადღების ცენტრში იყო მოსავლის აღება, ბალ-ვენახებისა და ნათესების მოვლა-პატრონობა...

აგვისტო მიიწურა. დადგა სეპტემბერი. ეს იყო გადამწყვეტი თვე. კიდევ უფრო გაძლიერდა დასილოსების ტემპი. 30 სექტემბერს შეაჯამეს ლაშქრობის შედეგი. სულ რაიონში ჩადებულია 81.338 ტონა სილოსი, გაცილებით მეტი, ვიდრე ამას ნაკისრ ვალდებულება ითვალისწინებდა. აქედან 61 ათასი ტონა სილოსი ჩადებულია ახალგაზრდების გამარჯვებული ხელით.

ასე გაანაღდეს დაპირება საგარეჯოელებმა. ახლა თითქოს ყველაფერი შეიძლებოდა. მაგრამ არა. ლაშქრობა კვლავ გრძელდება.

ა. თომაძე

„კომუნისტის“ ხაჯ. კორ.



ა. ქაიხოსროშვილი

ნ. ზულიაშვილი

შესრულებულია ათი თვის გეგმა

სტალინირი, 29 ოქტომბერი. (საქდისი). სამხრეთ-ოსეთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის და ვადამდე, 28 ოქტომბერს შეასრულეს მთლიანი პროდუქციისა და ძირითადი სახეობათა ნაწარმის გამოშვების ათი თვის გეგმა. საოქტომბრო შეჯიბრებაში პირველობას ინარჩუნებენ კვაისის მადაროთსამმართველოს მადაროელები, სტალინირის ხე-ტყის კომბინატის, ავურის ქარხნის კოლექტივები და სხვები.

ოლქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები თვის დამლევამდე გამოუშვებენ ათეულ ათასობით მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას.

ვოლეზიისა და მუვიდოგის გზებზე

დელეგატის შთაბეჭდილებანი

1952 წლიდან, ყოველ ორ წელიწადში, ბელგიის ზღვისპირა კურორტზე კნოკლეზუტში ტრადიციულად ეწყობა პოეტების საერთაშორისო შეხვედრები.

ამ შეხვედრებს ფრანგული პროსა პოეტების მსოფლიო კონგრესს უწოდებს, ხოლო თვითონ ბელგიელები — საერთაშორისო ბიენალს (ბიენალი ორწლიური ნიშნავს).

მიმდინარე წლის სექტემბერში კნოკლეზუტში გაიმართა მსოფლიოს პოეტების მე-4 ბიენალი.

საბჭოთა პოეტებმა ბელგიის ბიენალში პირველად 1956 წელს მიიღეს მონაწილეობა.

საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირმა მიმდინარე წელსაც მიიღო მოწვევა ბიენალის საორგანიზაციო კომიტეტისაგან. პოეტების მე-4 საერთაშორისო ბიენალზე წარგზავნილ იქნა საბჭოთა პოეტების დელეგაცია ს. მიხალკოვი, ს. კირსანოვი და ამ სტრიქონების ავტორის შეადგენლობით.

* * *

ორ სექტემბერს შუადღისას ჩვენ უკვე კნოკლეზუტმი ვიყავით. მაგენიეი მიიაჯი დღე იდგა და ჩრდილოეთია ზღვის ულამაზესი სანაპირო ჯერ კიდევ სავსე იყო დამსვენებლებით.

კნოკლეზუტი საკურორტო სეზონი ჩვეულებრივ აგვისტოს ბოლოს თავდება. წელს აქ არნასული სიცსეები ყოფილა და, როგორც ბელგიელები ამბობენ, უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მათს ქვეყანას მსგავსი გვალვა არ მოსწრებია.

კნოკლეზუტში შესანიშნავი ბავა, მისი პლაჟი მთელ ჩრდილოეთის სანაპიროზე გამოირჩევა თავისი ოქროსფერი ქვიშითა და კეთილმოწყობით. აქ მხოლოდ მდიდრები ისვენებენ და, როგორც ამბობენ, კურორტი ჩრდილოეთის ზღვის მთელ სანაპიროზე თავისი სიძვირითაც გამოირჩევა.

ჩვენ დელეგაციას ბიენალის საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი პოეტი არტურ ოლო შეხვდა. იგი შუახნის ბრგე კაცია. იგი გერმანელების ოკუპაციის დროს დიდხანს ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში მჯდარა, ხოლო ამჟამად, როგორც თითქმის ყველა პოეტი დასავლეთში, თავისი არაპირდაპირი პროფესიით ცხოვრობს — ბელგიის ტურისტული საზოგადოების გენერალური მდივანია.

ჩვენი ოტელი „რეზიდანს ალბერი“ სავსეა მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული პოეტებით. კაზინოს შენობა, სადაც ბიენალი ტარდება, „ალბერიდან“ სულ რამდენიმე ნაბიჯზეა.

პირველი დღე ბიენალის მასალებისა და სხვადასხვა დელეგაციების გაცნობას მოვანდომეთ.

კნოკლეზუტში ჩასვლისთანავე ჩვენ მეგობრული კონტაქტი დავამყარეთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების — ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, ბულგარეთის დელეგაციებთან. მათ შორის იყვნენ შესანიშნავი ბულგარელი პოეტი ქალი ბაგრიანა, ცნობილი პოლონელი პოეტი ეშბიზსი, ჩეხი ზავადა და სხვ.

ევროპის ქვეყნებს გარდა, ბიენალზე წარმოდგენილი იყო ამერიკის, აზიისა და აფრიკის შორეული ქვეყნების პოეზია: ანგოლა და ანტილის კუნძულები, ბრაზილია და კანადა, კონგო და დანია, მექსიკა და პაკისტანი, ირანი და ინდოეთი.

ბიენალის ბიულეტენში მათ შორის, ვინც ყველაზე დიდი მანძილი დაფარა კნოკლეზუტში ჩამოსასვლელად, ვიეტნამის და ინდოეთის დელეგაციების გვერდით მეც ვარ დასახელებული.

სულ პოეტების მე-4 საერთაშორისო ბიენალში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს ოთხი კონტინენტის 42 ქვეყნის 300-ზე მეტი დელეგატი.

კონგრესის დაწყების წინ კაზინოს შენობის ფოიეში ჩვენ მოვაწყეთ საბჭოთა წიგნის გამოფენა. ჩვენმა დელეგაციამ თან ჩაიტანა საბჭოთა კავშირის ყველა ენაზე გამოცემული რამდენიმე ასეული პოეტური წიგნი. უზარმაზარ სტენდს გავუკეთეთ წარწერა ფრანგულად: საბჭოთა პოეზია 60 ენაზე.

გამოფენაზე საკმაო რაოდენობით იყო წარმოდგენილი ქართველი პოეტების წიგნები. ჩვენი გამოფენის პირდაპირ მსგავსი გამოფენა მოაწყეს ამერიკელმა პოეტებმაც.

ჩვენმა გამოფენამ იმთავითვე მიიზიდა კონგრესელთა ყურადღება და ბოლომდე დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ძირითადი თემა, რომელსაც მიეძღვნა მოხსენებები და კამათში გამოსულთა სიტყვები, ფორმულირებული იყო ასე: „პოეზია ყველაზე დიდი ადამიანი და პოეზია“.

დარბაზი, სადაც ბიენალის სხდომები მიმდინარეობდა, ათასამდე კაცს იტევს. დარბაზის კედლები მოხატულია ცნობილი სიურრეალისტი მხატვრის მარკიცის ძირ. ხატვრობის სიუჟეტები ნახევრად მითიურია, რეალისტური შინაარსი გადმოცემულია სიმბოლოებით.

ბიენალის გახსნას ესწრება ბელგიის თითქმის მთელი მთავრობა პრემიერ-მინისტრის ეიოკენსის მეთაურობით, იუნესკოს წარმომადგენელი, ბელგიის ორივე აკადემიის — ფლაგენული და ფლანდრიული ამბეფო აკადემიების ხელმძღვანელობა, ფრანგული და ფლანდრიული ოფიციალთა ასოციაციებისა და პენკლუბების მეთაურები. (აქვე უნდა შევნიშნო, რომ ბელგიაში ფრანგული და ფლანდრიული ენები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დაწესებულება ფლანდრიულ ენაზეც არსებობს).

ბიენალი გახსნა ბელგიის სახალხო განათლების მინისტრმა მორომ. შემდეგ მოსმენილ იქნა ძირითადი მოხსენებები — ბიენალის პრეზიდენტის ჟან კასუსი, ვიცე-პრეზიდენტ პიერ ლეი ფლუკესი, პარიზის უნივერსიტეტია — სორბონის წარმომადგენლის მადამ მარი-ჟან დიურისა და იუნესკოს წარმომადგენლის როუე კაიუასი.

მათ შემდეგ პირველი სიტყვა მიეცა საბჭოთა პოეტს ს. კირსანოვს. კირსანოვმა წაიკითხა საინტერესო მოხსენება, რომელშიც წარმომდგენილი იყო ჩვენი საბჭოთა თვალსაზრისი ბიენალის ამოცანებსა და ეტაპებზე.

ბუნებრივია, რომ ბიენალზე დაყენებული პრობლემების განხილვისას ყოველი ორატორი ამეტყველებდა არა მარტო თავის შეხედულებას პოეზიასა და ადამიანზე, მის მომავალსა და ხვალინდელ დღეზე, არამედ თავის დამოკიდებულებასაც თანამედროვეობის მნიშვნელოვან სოციალ-პოლიტიკური საკითხებისადმი.

და როცა ჩვენ სწორედ ამ თვალსაზრისით დავაკვირდით დასავლეთის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების გამოსვლას, ბევრი რამ ჩვენთვის ახალი და მოულოდნელი აღმოვაჩინეთ. ჩვენში მიღებულია ის აზრი, თითქოს დასავლეთის თანამედროვე პოეზია იდგეს დროისა და სივრცის გარეშე, მოწყვეტილი იყოს დღევანდელი დღის პრობლემებისაგან და ცხოვრობდეს რაღაც ირეალურ ბროლის კოშკში. ეს შეხედულება შეიძლება მართებული იყოს დასავლეთის პოეზიის თითოეროლა წარმომადგენელის, რამდენიმე ხმობის და ინდივიდუალისტის მიმართ, მაგრამ მთელ დასავლეთის პოეზიაზე ასეთი შეხედულების უსაფუძვლობაში ჩვენ დაგვარწმუნა არა მარტო ბიენალზე გამოსვლებმა, არამედ იმ საერთო დაინტერესებამ და აქტივობამაც, რომელიც ჩვენ შევნიშნეთ ფრანგი და ბელგიელი პოეტების შემოქმედებასა და ცხოვრებაში.

თუნდაც ბიენალზე დაყენებული პრობლემების განხილვისას ჩვენ მოველოდით, რომ დასავლეთის პოეზია გამოიჩენდა ხვალინდელი დღისადმი რწმენის უქონლობას, შიშსა და პესიმიზმს. მაგრამ ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რომ მათ არა მარტო საინტერესოდ ჩათვალეს ჩვენი საბჭოთა თვალსაზრისი, არამედ ბევრმა დაუახლოვდნენ მას და, რაც მთავარია, ხვალინდელი დღის ადამიანისა და პოეზიის ბედი ბევრჯერ განხილეს თანამედროვეობის პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებთან მჭიდრო კავშირში.

ბიენალის პრეზიდენტმა ჟან კასუმ თავის შინაარსიან სიტყვაში განაცხადა: „ადამიანისათვის მანქანები როდი არიან საშიშნი. ადამიანისათვის საშიში ისევ ადამიანია. ატომისტიკის უდიდესი განვითარება, იმის მაგივრად რომ იგი თანამედროვე ცივილიზაციას დაეხმაროს, შეიძლება სრულიად შემთხვევით ამ ცივილიზაციის დამაგრეველი შეიქნეს. და ეს განა მეცნიერების ბრალი იქნება? ამ კითხვის დასმაც კი სასაცილოა, რადგან სრულიად ნათელია, რომ დამნაშავე თვითონ ადამიანია“.

ჟან კასუ აქ ჩვენს თვალსაზრისს უახლოვდება და ჩერდება. იგი იქით აღარ მიდის, თავისი ნამდვილი სახელით არ ასახელებს იმათ, ვინც სისტემატურ საბოტაჟს უწევს საბჭოთა თავრობის წინადადებას — შეწყდეს ატომური ბომბების გამოცდა და აიკრძალოს ატომური იარაღი.

ჟან კასუ სწორად აფასებს მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა მიღწევათა გამოყენების დღევანდელ მდგომარეობას.— ფაქტია ისიც, — ამბობს ჟან კასუ, — რომ საზღვრები სახელმწიფოებს შორის არასოდეს არ ყოფილა ასე მჭიდროდ დახურული. რომ დღევანდელი კავშირგაბმულობის არაჩვეულებრივად განვითარებული საშუალებანი ხშირად გზის ამბენვასა და ვნების მომკან პროპაგანდას ემსახურებიან. მე არ მჯერა, რომ მანქანების განვითარება წარმოშობს საშინელ საქაოსს, რომლიდანაც პლატონის რესპუბლიკის მსგავსად განდევნილ იქნებიან პოეტები. მე ვფიქრობ, რომ ადამიანს ყოველთვის ადამიანთან ექნება საქმე და სხვასთან არაფერთან და, მაშასადამე, მას ყოველთვის ექნება საშუალება მიმართოს ისევ ადამიანს, ლექსად და პროზად, გამოთქვას ლექსად ან პროზად თავისი განცდა და სურვილი, თავისი იმედი... პოეზია მუდამ იქნება ცოცხალი და უცილებელი“...

საინტერესო იყო ბელგიელი პოეტის, ბიენალის ვიცე-პრეზიდენტის პ. ლ. ფლუკეს გამოსვლა. მან მოიყვანა როუე მარტენ დიუგარის სიტყვები: „ეცადო წარსულის დაბრუნებას ან ახალგაზრდობის დაბრუნებას — ეს უდრის დროის დაკარგვას. სინამდვილე ჩვენს წინაშეა. უპირველესი სიბერძნე ის არის, იყო წარმომადგენელი შენი დროისა“. შემდეგ ფლუკემ განავითარა დიდი ფრანგი მწერლის ეს თეზისი.

ფლუკეს აუცილებლად მიაჩნია, რომ პოეტები იდგნენ მეცნიერების მწვერვალებს სიმაღლეზე — რადგანაც ცოდნა, როგორც მან თქვა, შიშის დაძლევის ერთადერთი საშუალებაა. იგი შემცდარად თვლის შეხედულებას, თითქოს მეცნიერება არასოდეს არ ყოფილიყოს პოეტების შთამგონებელი. ფლუკე ასახელებს უამრავ მაგალითს გოეთედან პოლ ვალერიამდე და ბოლოს იმოწმებს სამ ბელგიელ პოეტს — ემილ ვერჰარნს, მარსელ ტირისა და პიერ ბურჟუას, რომლებიც ლაბორატორიებსაც ისევე კარგად უძღვიოდნენ, როგორც ქარხნებს, ელექტროსადგურსა და რადიოაკტივობას.

ფლუკემ დამსწრეებს გაახსენა შემთხვევა, ო�eliც ერთ კიბერნეტიკულ დაწესებულებაში მომხდარა. ელექტრონულ ტვინში შემთხვევით რაღაც არეულა და მათემატიკური გამოთვლის მაგივრად მანქანას დაუწყია რითმებით ლაპარაკი. გაოცებულ ინჟინრებს სასწრაფოდ გაუსწორებიათ მანქანის დეფექტი და ელექტრონურ ტვინს ისევ ნორმალური მუშაობა დაუწყია.

მეტად საინტერესო იყო ფრანგი მწერლის სეზარ სანტელის სიტყვა.

მან თავისი სიტყვის დასაწყისშივე განაცხადა: „თუ პოეზია რევოლუციური არ არის, იგი აღარ არის პოეზია“.

სეზარ სანტელიმ განავითარა ის აზრი, რომ თავისუფალი ადამიანი ყოველთვის დიამორჩილებს მანქანას და რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები ყოველთვის იქნება ადამიანის გონების სამსახურში. ჩვენი საუკუნის ყველაზე დიდი გამოგონება რადიო კი არ არის, არამედ ის ღიმაკია, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვრთოთ რადიო“, — განაცხადა სანტელიმ საერთო ტაშსა და სიცილში. ბიენალზე გამოსულმა პოეტმა ბელგიის მთავრობის ელოვნებისა და ლიტერატურის დეპარტამენტის დირექტორმა მარსელ ჩიტერმა მოგვმართა ჩვენ. საბჭოთა დელეგაციას, „ამდენი სიტყვებით: „მე ვფიქრობ, რომ არსებობს უპირველესი პრობლემა. ეს იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ შვილები გვყავს, ეს იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა დრომ, ჩვენმა თაობამ თუ ჩვენმა მოდგმამ დედამიწა არ აქციოს უდაბნოდ ან ქაოსად. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ კიდევ გვეყოლოს ბავშვები და რომ მათ კიდევ ჰქონდეთ სასუნთქავი ჰაერი“...

მარსელ ჩიტერის ამ სიტყვებზე მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ერთსულოვანი ტაშით გამობატა ორმოცდაორი ქვეყნის პოეტების საერთო მისწრაფება მშვიდობის შენარჩუნებისადმი.

პიერ ლეი ფლუკემ გამოაქვეყნა ნობელის პრემიის ლაურეატის სფრანგეთის აკადემიის წევრის ჟან როსტანის წერილი ბიენალისადმი. ჟან როსტანი არის შვილი გასული საუკუნის ცნობილი ფრანგი პოეტისა და დრამატურგის — „შანტეკლერისა“ და „სირანო დე ბერჟერაკის“ ავტორის ედმონდ როსტანისა. იგი ამჟამად ყველაზე პოპულარულ მეცნიერად და ადამიანად არის აღიარებული თავის სამშობლოში.

ჟან როსტანმა წერილი გამოუგზავნა ჩვენს კონგრესს. ეს წერილი წაიკითხული და დიდი ინტერესით იყო მოსმენილი. და მე ჩემს თავს ნებას მივცემ მოვიყვანო მისი ნაწყვეტი: „ბატონო პრეზიდენტო! მაპატიეთ, რომ თქვენს მომართვაზე სწრაფად ვერ გიპასუხეთ, რადგან ამჟამად ძლიერ დაკავებული ვარ ბევრი სხვადასხვა საქმით, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ პოეზიასთან.

მე მინდა რამდენიმე სიტყვით გითხრათ, რომ პოეზია ადამიანს სჭირდება თავისი ძირითადი მოთხოვნილების — ადამიანური გრძნობების ასამაღლებლად. პოეზიას ყოველთვის ექნება ეს დანიშნულება, როგორიც არ უნდა იყოს ხვალინდელი დღე. სოციალური სტრუქტურის ცვლილება და ტექნიკის განვითარება. მე მომაჩნია, რომ მისი როლი განუწყვეტლად გაიზრდება ავტომატიკის გაბატონების ეპოქაში, იმ ეპოქაში, რომელიც ეშურება ადამიანის არსებობაში ყველაზე ძვირფასს — მის იდუმალ სულიერ სამყაროს.

პოეზია იქნება ადამიანისათვის აუცილებელი, როგორც მისი მხსნელი და თავშესაფარი“...

მეოთხე საერთაშორისო ბიენალზე ძალიან ფართოდ იყო წარმოდგენილი ზანგების პოეზია. აქ იყვნენ თითქმის ყველა კუთხის შავკანიანი პოეტები. ისინი საინტერესოდ გამოდიოდნენ და პოეზიის საკითხებს გარდა ლაპარაკობდნენ თავიანთი ქვეყნების სოციალურსა და პოლიტიკურ სიდუხჭირეზე. დელეგატთა შორის იყო ტაშკენტის კონფერენციის მონაწილე პოეტიც ანგოლადან-მარიო-დე ანდრადე, რომელიც ძველი მეგობრებივით შეგვეგება საბჭოთა პოეტებს.

ამაღელვებელი და დაუვიწყარი იყო გვადელუპელი პოეტი ქალის ფლორეტ მორანის სიტყვა. იგი ეტყობა ნარევი წარმოშობისა უნდა იყოს, სახე უფრო ყავისფერი აქვს, ვიდრე შავი, და სახითაც და ტანადაც ძალზე მიმზიდველი შესახედაობისაა.

იგი მოვიდა ატლანტის ოკეანეში ჩაკარგული ანტილის პატარა კუნძულიდან — გვადელუპიდან და თან თავისი ხალხის ცრემლი და რისხვა მოიტანა. შესანიშნავი ფრანგულით მოლაპარაკე ეს ნაზი ქალიშვილი თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. ლექსით და პროზით შენაცვლებით ლაპარაკობდა და თავისი უბედური ხალხის აღშფოთებას გადმოგვცემდა კოლონიური ჩაგვრის გამო.

და როცა მან თანამედროვე კოლონიურ ჩაგვრას „კოლონიური კანიბალიზმი“ უწოდა და მსოფლიოს პოეტებს ამ ანაქრონიზმის წინააღმდეგ ხმის ამაღლებისაკენ მოუწოდა, მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი, ფეხზე წამოდგა და ოვაცია გაუმართა.

კონგრესის დახურვის წინ პრეზიდენტმა მე მომცა სიტყვა. მე ვილაპარაკე ფრანგულად საქართველოს ბუნების გაუმეორებელ სილამაზეზე, ქართველი ხალხის გმირულ წარსულსა და ვაჟკაცობაზე, პრომეთეს და რუსთაველზე. დარბაზში ბლომად იყვნენ ბელგიელები, და ჩემმა განცხადებამ, რომ 1500 წლის ჭალარა თმილისში არსებობს მათი დიდი თანამემამულის ემილ ვერჰარნის ქუჩა, აღფრთოვანება გამოიწვია. შემდეგ საბჭოთა კავშირის პოეტების სახელით პრეზიდენტს გადავეცი ბელგიელი პოეტების ანთოლოგია, რომელიც ჩვენი მოსკოვიდან გამგზავრებისას გამოვიდა სასწრაფო წესით. ამ წიგნის გამოჩენასა და გადაცემას მოჰყვა მხურვალე ტაში. შემდეგ პრეზიდენტს მივართვი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ვ. ურუშაძის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია. პრეზიდენტი გადამეხვია, სიხარულისგან ჩამომართვა და ტრიბუნიდან მოკლე სამადლობელი სიტყვით მომმართა. დიდხანს, ტრიბუნიდან ჩემი ჩამოსვლის შემდეგაც არ შეწყვეტილა ტაში. ჩვენ, საბჭოთა პოეტი, მადლობის ნიშნად თავს ვუხრიდით ფეხზე წამომდგარ დარბაზს, რომელიც ოვაციით გამოხატავდა თავის სიმპათიასა და პატივისცემას დიდი საბჭოთა ქვეყნისა და მისი ხალხების პოეზიისადმი.

ჩვენ მოგვასმენინეს ელექტრონიკული და რადიოფონიკური პოემები, მაგრამ ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მოკლემეტრაჟიანმა პოეტურმა ფილმმა — ეს ფილმები ან პოეტურ ნაწარმოებებზეა შექმნილი ან პოეტების ცხოვრებისადმია მიძღვნილი.

პოეტების ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფილმებიდან საუკეთესონი იყვნენ „პოეტის გახსენება“ და „საუკეთესო დრო ახლოვდება“. პირველის დამდგმელი ავტორია ახალგაზრდა პოლონელი კინორეჟისორი მარია კვიატკოვსკა. ეს ფილმი მიძღვნილია თანამედროვე პოლონეთის ყველაზე პოპულარული პოეტის გალჩინსკის ხსოვნისადმი, რომელიც 1954 წელს ბარდაცელილა.

ფრანგული ფილმი „საუკეთესო დრო ახლოვდება“ მიძღვნილია ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპული ფრანგი პოეტის რობერ დესნოსადმი. ფილმის ავტორი ახალგაზრდა რეჟისორი ჟან ბარალი ესწრებოდა სურათის დემონსტრაციას.

ფილმმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე პოეტებზე, და ავტორს მხურვალე ოვაცია გაუმართეს. მოსმენილი იყო მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი რადიოგადაცემის ჩანაწერი ფრანგულ ენაზე. ეს ჩანაწერი გამთბარი იყო დიდი პოეტის ხსოვნისადმი პატივისცემით და საბჭოთა ქვეყნისადმი სიმპათიით.

ნაჩვენები იყო გენიალური ფრანგი პოეტის არტურ რიმბოს პოემის „ლეზ ილუმინასიონ“-ის მიხედვით შექმნილი ფილმი. ფილმის ავტორს უცდია ეკრანზე გადაეტანა ჰალუცინაციებამდე მისული რიმბოს პოეტური ფანტაზია. ამოცანა მეტად რთული და იგი რეჟისორისაგანაც ისეთსავე ხილვას მოითხოვს, როგორიც პოეტს ჰქონდა. ამ ამოცანის დაძლევა, რა თქმა უნდა, რეჟისორის ძალღონეს აღემატება და ფილმი ვერ ქმნის რიმბოს პოემის ილუზიასაც კი.

ბიენალის დასასრულს არჩეულ იქნა ბიენალის ლაურეატი. ჟიურის მეთაურობდა იტალიის გამოჩენილი პოეტი უნგარეტი, რომელიც წინა ბიენალზე თვითონ იყო ლაურეატი.

ბიენალის პრემია მიენიჭა საფრანგეთის გამოჩენილ პოეტს სენ ჟან პერსს. სენ ჟან პერსი არის პოლ ვალერის თაობის პოეტი. იგი დაბადებული გვადელუპაში (1887), ახალგაზრდობა გაუტარებია აზიაში. შემდეგ გამხდარა დიპლომატი. აღსანიშნავია, რომ სენ ჟან პერსს თითქმის იმავე დროს მიენიჭა საფრანგეთის დიდი ეროვნული პრიზი, ისე რომ იგი ერთდროულად ორგზის ლაურეატი გახდა.

* * *

ბელგიაში ყოფნისას ჩვენ გავიცანით ბელგიის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, რომლებთანაც დავამყარეთ მეგობრული კონტაქტები. ვიყავით სტუმრად ბელგიის წარჩინებულ ადამიანებთან.

ბიენალის დამთავრების შემდეგ ჩვენ ჩავედით ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში. ბრიუსელში საბჭოთა საელჩოს თხოვნით ჩვენ გავმართეთ სამი საღამო: საბჭოთა საელჩოსა და საკონსულოს თანამშრომლებისათვის, „საბჭოთა მოქალაქეების კავშირის“ წევრებისათვის და „საბჭოთა კავშირ-ბელგიის მეგობრობის საზოგადოებისათვის“.

ბრიუსელში ჩვენი ჩასვლის დღეს გამოქვეყნდა ცნობა მთავრეზე საბჭოთა რაკეტის გაშვების შესახებ. ყველგან, შინ თუ გარეთ, საბჭოთა „სპუტნიკ“-ზე იყო აღტაცებული ლაპარაკი. ბელგიელმა პოეტებმა დასწერეს „ლუნიკისადმი“ მიძღვნილი ლექსები და საბსოვრად გამოგვატანეს.

ჩვენ მიერ გამართული საღამოებიდან აღსანიშნავია საღამო „საბჭოთა კავშირ-ბელგიის მეგობრობის საზოგადოებაში“.

პოეტმა ანდრე კლოდმა ვრცელი მოხსენება გააკეთა საბჭოთა ლიტერატურაზე. მან მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო ქართული პოეზიის მიმოხილვასაც. ბრიუსელის დრამის მსახიობმა ქალმა წაიკითხა ჩვენი ლექსების ფრანგული თარგმანები, მიხალკოვმა, კირსანოვმა და მე წავიკითხეთ საკუთარი ლექსები მშობლიურ ენებზე. ამის შემდეგ გაიმართა აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა, რომლის დროსაც ბელგიელმა მწერლებმა და სწავლულებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს საბჭოთა ქვეყნისა და მისი კულტურისადმი.

იმ დღეს, როცა ჩვენ დავტოვეთ მზიანი, ლამაზი და სტუმართმოყვარე ბელგია, ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკაში გაფრინდა, ყველას ფიქრი და იმედი მშვიდობის ამ მისიისაკენ იყო მიპყრობილი და ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით ჩვენი ნამოგზაურის სიდიადეს, მისდამი ყველა ხალხების სიმპათიისა და პატივისცემას.

გრიგოლ აბაშიძე.

უდიდესი მეცნიერული გმირობა

საზღვარგარეთის საზოგადოებრიობა და პრესა ფართო კომენტარს უკეთებენ უდიდეს მეცნიერულ გმირობას კაცობრობის ისტორიაში — იმას, რომ საბჭოთა მეცნიერებმა მიიღეს ფოტოსურათები მთვარის უკანა მხარისა, რომელიც დედამიწიდან არ ჩანს.

ჩინეთის ყველა გაზეთი აქვეყნებს მთვარის უკანა მხარის ავტომატური სატელიტათშორისო სადგურის სურათებს. გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“ საბჭოთა მეცნიერების დამსახურებას ახალ ნაშანსვეტს უწოდებს ადამიანის მიერ კოსმოსის ათვისებაში. საბჭოთა მეცნიერების მიღწევების შედეგად, წერს გაზეთი მნიშვნელოვნად მოახლოვდა ის დრო, როცა ადამიანი ფეხს დაადგამს მთვარის ზედაპირს.

საბჭოთა კავშირის მიერ კაცობრობის ისტორიაში პირველი ავტომატური სატელიტათშორისო სადგურის გაშვებამ და მთვარის უხილავი მხარის პირველი სურათების მიღებამ, ხაზს უსვამს „ჟენმინ ჟიბაო“ ცხადყვეს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი, სოციალისტური წყობილების უეჭველი უპირატესობა. ამ მოვლენამ გააბარა და აღაფრთოვანა მთელი კაცობრიობა.

ბერლინის დემოკრატიული პრესა მოწონებულ სტატიებს უძღვნის საბჭოთა მეცნიერების ახალ გმირობას. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ წერს, რომ მთვარის უკანა მხარის პირველი ფოტოსურათები სოციალიზმის ტრიუმფალური უპირატესობის დოკუმენტებია. მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანი ეცნობა ამ ფოტოსურათებს და აღტაცების გრძნობას განიცდის.

გაზეთი „ბერლინერ ციტუნგი“ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა მეცნიერებამ წამოუყენა მდგომარეობა დაიკავა მსოფლიოში. საბჭოთა რაკეტული ტექნიკის უმაგალითო მიღწევა დასაბამს აძლევს ახალ ეტაპს ასტრონომიის განვითარებაში.

„ნაციონალ ციტუნგი“ წერს, რომ მთვარის უკანა მხარის ფოტოსურათები მოწმობენ საბჭოთა კავშირის არა მარტო უდიდეს სამრეწველო სიმძლავრეს, არამედ აგრეთვე სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების უდავო უპირატესობას.

პოლონური გაზეთი „ჟიცე ვარშავა“ ბეჭდავს პოლონური მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენელთა აზრებს „საუკუნის ფოტოსურათის“ შესახებ. პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა კაზიმეჟ კურატოვსკიმ განაცხადა: რა შესანიშნავ პერსპექტივებს უსახავს კაცობრიობას საბჭოთა მეცნიერების განსაცვიფრებელი მიღწევები, რომლებიც გვაუწყებენ ახალ ერას — კოსმოსის დაპყრობის ერას. ცნობილმა პოლონელმა ასტრონომმა მაცეი ბელიცკიმ თქვა: ამ სენსაციურ სურათს რომ ვხედავთ, შეიძლება ბევრ რამეზე ვილაპარაკოთ. პირადად მე, როგორც ცის მექანიკაზე მომუშავეს, მაცვიფრებს ის ფაქტი, რომ განხორციელდა არა მარტო მთვარის გარშემო ფრენა, არამედ მისი ფოტოსურათის გადაღებაც.

ამერიკის გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ სარედაქციო სტატიაში „რუსული სახელწოდებანი მთვარეზე“ წერს: მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათები, რომლებიც საბჭოთა „მესამე რაკეტამ“, გადაიღო, საინტერესო და აღმფრთოვანებელი უნდა იყოს თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ეს ფოტოსურათები გვაძლევენ იმის წარმოდგენას, რაც ადამიანის თვალს დღემდე არასოდეს არ უნახავს... მარტო ის ფაქტი, რომ ეს ფოტოსურათები გადაიღეს და ისინი საკმაოდ ნათელია არიან, რათა ცხადყონ სხვადასხვა წარმონაქმნები მთვარის ფარულ ზედაპირზე, შესანიშნავი მიღწევაა. მოსკოვის მიერ აღწერილი ფოტო, რომლის დროსაც განმკარგულებელი სიგნალით თანამგზავრის ობიექტივები მიბრუნდა მთვარისაკენ, ხოლო ფირის გამომძღავნება და ფიქსირება ავტომატურად ხდებოდა თანამგზავრზე, შემდეგ კი გადმოიცემოდა დედამიწაზე, როგორც ჩანს, მოწმობს იმდენადვე ფანტასტიკურ მიღწევას, როგორიც არის თვით მთვარეზე გაფრენა. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა — თუ ასეთი დადასტურება საჭიროა — იმისა, რომ გრძელდება კოსმოსის ათვისების საბჭოთა პროგრამის უპირატესობა ჩვენს პროგრამასთან შედარებით. ამ შემთხვევაში ეს უპირატესობა, როგორც ჩანს, სამარადისოდ აღიბეჭდება მთვარის უხილავ მხარეზე აღმოჩენილ კრატერთა და მაღლობთა რუსული სახელწოდებებით.

ინგლისის გაზეთები „ტაიმსი“, „დეილი ტელეგრაფი“, „დეილი ჰერალდი“, „გარდიანი“ და სხვები აღტაცებას გამოთქვამენ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ბრწყინვალე გამარჯვების გამო. „დეილი ჰერალდი“ ხაზს უსვამს, რომ ამჟამად „ეჭვი არ არის, რომ რუსებს პირველი ადგილი უკავიათ კოსმოსის ათვისებაში“. გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ აცხადებს, რომ მთვარის იმ ნაწილის გამოსახულების მიღება, რომელიც დედამიწიდან არ ჩანს, ცხადყოფს, რომ „რუსები აბსოლუტურად ზუსტი ტექნიკის ოსტატები არიან“.

სათაურით „რუსების მეოხებით“ კაიროს „იჯიპშე გაზეტი“ წერს: „რუსების მეოხებით შესრულდა ეპოქალური მოვლენა. საბჭოთა კოსმოსური ხომალდიდან მთვარის იმ მხარის გადაღება, რომელიც ჩვენთვის დღემდე უცნობი იყო, ახალი ფურცელია კოსმოსის ათვისებაში. ეს განსაცვიფრებელი მეცნიერული მიღწევა ახალ პერსპექტივებს უსახავს ადამიანს სამყაროს შესასწავლად“. (საყდესი).



მთვარე: (დედამიწას) ეს რა ლამაზი ვეოფილვარ, შემოგევლე!

ნახატი გ. ლომაძისა.

ეს მეტად სასარგებლოა

პარიზი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთის მთავრობამ დღეს პარლამენტში გააკეთა განცხადება თავისი საგარეო პოლიტიკის შესახებ.

პრეზიდენტ დე გოლის მოწვევით საფრანგეთში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით განცხადებაში ნათქვამია: „ასეთი შეხვედრა ყოველ გარემოებაში მეტად სასარგებლოა და საჭიროა უმაღლესი დონის თათბირის პერსპექტივასთან დაკავშირებით. აზრთა გაზიარება, რომელიც შეიძლება მოხდეს ამ შეხვედრის მეოხებით, უეჭველად შეეხება არა მარტო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, არამედ აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიც არის გერმანია ან განიარაღება, რომლებიც შესაძლოა შეიტანონ მომავალი თათბირის დღის წესრიგში. საფრანგეთში 8-ნ ხრუშჩოვის მოგზაურობა, გარდა ამისა, შესაძლებელს გახდის დაშყარდეს კონტაქტები, რომლებიც ყოველმხრივ დიდმნიშვნელოვანი იქნება“.

ამერიკელ ოფიციალურ პირთა ბრალდებანი

ეროვნული ეკონომიკა ომისა და ომის მოსალოდნელობის ბრალეულია

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკელ ოფიციალურ პირთა ბრალდებანი ეროვნული ეკონომიკა ომისა და ომის მოსალოდნელობის ბრალეულია.

ამ ბრალდებანი ეროვნული ეკონომიკა ომისა და ომის მოსალოდნელობის ბრალეულია.

ეროვნული ეკონომიკა ომისა და ომის მოსალოდნელობის ბრალეულია

ეროვნული ეკონომიკა ომისა და ომის მოსალოდნელობის ბრალეულია

ნიუ-იორკი, 29 ოქტომ

პირველ ადგილზეა მიხეილ ჭალი

საბჭოთა მოჭადრაკეების ახალი ბრწყინვალე გამარჯვება

მ. ჭალი: ჩემი მაღლობა და საღამი „კომუნისტის“ მკითხველებს

გუშინ საღამოს, როცა დამთავრდა პრეტენდენტთა მატჩ ტურნირის დასკვნითი, XXVIII ტური და გაირკვა, რომ გროსმაისტერმა მ. ტალმა დაიკავა პირველი ადგილი, ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე, ტელეფონით კვლავ დაუკავშირდა ბელგრადის სასტუმრო „მეტროპოლში“ მიხეილ ტალს და საქართველოს მოჭადრაკეების, ჭადრაკის მოყვარულების და მისი გულშემატკივართა სახელით მიულოცა ბრწყინვალე გამარჯვება.

— დიდად გმადლობთ მოლოცვისათვის, — თქვა მ. ტალმა. მომიტევეთ, მაგრამ ვღელავ, ბედნიერი ვარ, რომ ამისრულდა ის რაზედაც არა ერთი დიდი ნიჭისა და გაქანების მოჭადრაკე ოცნებობდა. ჩემთვის დიდი პატივია შევეცილო მ. ბოტვინიკს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულში. მ. ბოტვინიკი ჭადრაკის ცოცხალი მატიანეა, რომელსაც დაუმარცხებია ჭადრაკის გენიოსები ე. ლასკერი, ხ. კაპაბლანკა და ა. ალიოხინი, რომელთა შემოქმედება ყოველთვის იყო და იქნება საჭადრაკო ცოდნის უშრეტი წყარო.

— მე მ. ბოტვინიკთან არასოდეს არ მითამაშია. მით უფრო მაინტერესებს მასთან შეხვედრა. ჩემი ნათლობა მოხდება 1960 წლის მარტში, როცა მივუსხდებით საჭადრაკო მაგიდას მატჩის პირველი პარტიის სათამაშოდ.

— არ შემიძლია დიდი პატივისცემით არ აღვნიშნო გროსმაისტერ პ. კერესის მიმზიდველი და ძლიერი თამაში. მას რომ ფიშერთან მესამე წრეში არ მოსცლოდა მარცხი შეიძლება მ. ბოტვინიკის მეტოქე ჯერ კიდევ გაურკვეველი ყოფილიყო. რა გაეწყობა უფროსისადმი „უპატივცემულობა“ გამომივიდა. მაგრამ პაულ პეტრეს-ძემ მაპატია „უხრდელობა“, როცა დღეს საღამოს პირველმა მომილოცა მსოფლიო ჩემპიონის მეტოქეობა.

— ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები სამშობლოში. მადლობთ ყურადღებისათვის. სალამი საქართველოში ჭადრაკის ყველა მოყვარულს.

უკანასკნელი შეხვედრები

ბელგრადი, 29 ოქტომბერი (ტელეფონით). დღეს იუგოსლავიის პროფკავშირების სახლის დიდი საკონცერტო დარბაზი, სადაც გაიმართა პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის დამამთავრებელი, XXVIII ტური, მაყურებლებით იყო გაჭედილი. ათასობით მოყვარული შენობის წინ მოთმინებით ელოდა ამბავს სატურნირო დარბაზიდან.

მსაჯთა კოლეგიამ უკანასკნელად ჩართო საათები **ტალ-ბენკოს, კერეს-ოლაფსონის, სმისლოვ-ფიშერისა** და **პეტროსიან-გლიგორიჩის** პარტიებში.

გაჩაღდა მძაფრი ბრძოლა.

თამაშის დაწყებიდან ერთი საათი იყო გასული, როცა ტალმა მე-12 სვლაზე **ბენკოს** ყაიმი შესთავაზა. **ბენკომ** წინადადება არ მიიღო. თამაში გაგრძელდა. 23-ე სვლაზე, როცა **ტალს** უკვე ორი ზედმეტი პაიკი და პოზიციური უპირატესობა ჰქონდა, მან ისევ შესთავაზა ყაიმი, რომელიც ამჯერად **ბენკომ** მიიღო.

როცა **ტალ-ბენკოს** პარტიის სადემონსტრაციო დაფაზე გაიკრა წარწერა: „ყაიმი“ დარბაზში მყოფმა სამი ათასმა კაცმა ფეხზე ადგომით მჭუხარე ოვაციები გაუმართა **მიხეილ ტალს,** რომელიც პირველ ადგილზე გავიდა. **პ. კერესი** პირველი მიუახლოვდა **მ. ტალს** და ჩამოართვა მას ხელი. **მ. ტალს** შემოეხვიენ გროსმაისტერები, მწვრთნელები, ჟურნალისტები...

სხვა დაფებზე ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. **ფიშერმა** დამაჯერებლად გამოიყენა **სმისლოვის** მცდარი თამაში და მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი დაამარცხა.

ორი პარტია არ დამთავრებულა. **კერესმა** გადადო პარტია **ოლაფსონთან** უარეს პოზიციაში, ხოლო **პეტროსიანს** პოზიციური უპირატესობა აქვს **გლიგორიჩის** წინააღმდეგ.

ამრიგად, პირველი ადგილი ტურნირში დაიკავა **მ. ტალმა,** რომელმაც 20 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზეა **პ. კერესი** — 18,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია. შემდეგ არიან **ვ. სმისლოვი** — 15 ქულა, **ტ. პეტროსიანი** — 14,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, **ს. გლიგორიჩი** — 12,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, **რ. ფიშერი** — 12,5 ქულა, **ფ. ოლაფსონი** — 9 ქულა და ერთი გადადებული პარტია, **ბ. ბენკო** — 8 ქულა.

30 ოქტომბერს მოხდება ორივე გადადებული პარტიის დამთავრება.

მსოფლიოს ჩემპიონის სახელი „მიხეილი“ იქნება

სალო ფლორი,

გროსმაისტერი.

პრეტენდენტთა ტურნირი, რომელიც გუშინ ძირითადად დამთავრდა იუგოსლავიაში, სპორტულმა ჟურნალისტებმა „ჭადრაკის მარათონად“ მონათლეს და ამ სახელწოდებით შევა იგი საჭადრაკო ბრძოლის ისტორიაში.

მართლაც, ტურნირის დისტანცია არაჩვეულებრივად დიდი იყო — რვა მონაწილეთაგან თვითეულს მოუხდა ეთამაშა ოცდარვა პარტია. ეს თუ ერთობრივად არა, ერთნაბევარჯერ მაინც მეტი არის, ვიდრე ჩვეულებრივ ტურნირში. თუ ერთ-ერთი უძნელესი სპორტული შეჯიბრება — მარათონული რბენა ორმოცდაორ კილომეტრ დისტანციაზე — ორ საათს გრძელდება, ჭადრაკის მარათონი თითქმის ორ თვეს გრძელდებოდა.

ორი თვის განმავლობაში გროსმაისტერების ნერვული სისტემა სხტიკად იყო დაძაბული, მონაწილეთა ტვინს არც დღისით და არც ღამით, არც თამაშის და არც გამოსასვლელ დღეებში არ დაუსვენია. „რატომ ვითამაშე e 2—e 4, და არა c 2—c4, რაკმა ვერ შევაჩერე პაიკის დაკარგვა, რა ვსვლა ჩაიწერა პარტნიორმა, როგორი იქნება გადადებული პარტიის შედეგი“ — ასეთი და ათობით სხვა ითხვა განუწყვეტლივ იდგა მეტოქეებისა და მათი ერთგული თანაშემწეების — სეკუნდანტების წინაშე.

სპორტული დაძაბულობა ელექტროდენის ხისწრაფით გადაეცემოდა ესტრადიდან, სადაც ოთხი საჭადრაკო მაგიდა იდგა, მაყურებლებით გაჭედილ დარბაზს, გაზეთებისა და რადიოს რედაქციებს, იქიდან კი მთელ დედამიწას (კინადგან წამომცდა, მის მიდამოებსაც-მეთქი — „მემთვარეთა“ დახმარებით). ჭადრაკის ციებ-ცხელება მოედო ევსტსავე კონტინენტს. ეს სენი მილიონობით ადამიანებმა გადაიტანა. ახლა ისინი ყველანი სწრაფად ჯანსაღდებიან (ავადმყოფობის შემდეგ არც ერთი გართულება არ აღნიშნულა).

მღელვარება უკან დარჩა, შეიძლება გულდამშვიდებით გადავხედოთ სატურნირო ცხრილს, რომელიც შევსებულია ორას ოცდაოთხი ციფრით — ამაყი ერთიანებით, ნაღვლიანი ნულებით და მებრძოლი და ტემპერამენტიანი გულშემატკივრებისათვის ესოდენ საძულველი ნახევრიანებით. უნდა ითქვას, რომ ნახევრიანები ცხრილში შედარებით ცოტაა, ვიდრე მოსალოდნელი იყო ასეთი „ხოლიდური“ შემადგენლობის ტურნირში. ყაიმებმა ორმოცდაათ პროცენტზე ნაკლები შეადგინა.

ეს მეტყველებს არა მარტო მწვავე ბრძოლებზე, რომლებიც მშვიდობიან საჭადრაკო დაფებზე გაჩაღდა, არამედ ჭადრაკის უძველესი თამაშის მარადიული სიყმაწვილეზეც. რამდენიმე ათეული წლის წინათ ზოგიერთი ჩემპიონი კი მას „საყაიმო სიკვდილს“ უწინასწარმეტყველებდა.

მაგრამ ეს მეტყველებს კიდევ სხვა რამეზეც — ტურნირში გამარჯვებულის ოცდასამი წლის მიხეილ ტალისა და მეორე საპატიო ადგილზე გამოსული ორმოცდა სამი წლის პაულ კერესის მგზნებარე საჭადრაკო ტემპერამენტზე. სწორედ ამ ორმა გროსმაისტერმა „მისცა ტონი“ მთელ შეჯიბრებას. ტალმა უკუაგდო ზედმეტი (ხოლო ზოგჯერ საჭირო) სიფრთხილე, იგი გაბედულად ებმებოდა საჭადრაკო ბრძოლებში, ქმნიდა დაფაზე ნამდვილ ქარიშხალს, თავსატეხ კომბინაციურ გართულებებს და მოწინააღმდეგეებს თავს ახვევდა ბრძოლას მათთვის არახელსაყრელ პირობებში. ტალის პარტიებში მსხვერპლი მსხვერპლს მოსდევდა, ერთი მოულოდნელი მანევრი მეორით იცვლებოდა.

ფრთხილი მანევრირების მოყვარულნი („იქნებ პარტნიორმა შეცდომა დაუშვას და რომელიმე უჯრედი შეახუსტოსო“) მშვიდობიანი საყაიმო კლაპოტიდან ამოვარდნილი აღმოჩნდნენ. ლიდერებს რომ არ ჩამორჩენოდნენ, მათ მოუხდათ თვითონ დაეწყოთ თამაში მათთვის უჩვეულო რისკიანი სტილით, ამასთან ეს მათი უმრავლესობის ძალღონის შეუფერებელი აღმოჩნდა. მოლოდინის ტაქტიკამ, რომელიც წინანდელ ტურნირებში წარმატებას აძლევდათ, ამ ტურნირში უმტყუნათ.

ვერავითარი რკინაბეტონის სიმაგრე ვერ უძლებდა ტალის გაფფარებულ შეტევას. იგი გაბედულად სწრაფავდა არა მარტო პაიკებს, არამედ ფიგურებსაც. პარტიის შემდეგ, დამშვიდებულ ვითარებაში გაკეთებული ანალიზი ხშირად აჩვენებდა, რომ ახალგაზრდა რიგელი გროსმაისტერის კომბინაციები ყოველთვის უნაკლოდ სწორი როდი იყო ჭადრაკის თვალსაზრისით, ტალს გულდაწყვეტილი მოწინააღმდეგენი აღმოაჩენდნენ ხოლმე, — მაგრამ ვაი რომ მეტისმეტად გვიან! — დამჯერებელ პასუხს. ჭადრაკში წარმატებას ხომ განსაზღვრავს არა მარტო ანალიზის ხელოვნება, არამედ ჩინებული სპორტული თვისებებიც — აუღელვებლობა, დროის გამოყენების უნარი, ფსიქოლოგიური გამძლეობა. ხოლო სწორედ ეს ამ ტურნირში ბევრს არ ჰყოფნდა, ისევე როგორც არ ყოფნიდათ იგი თავის დროზე ალიოხინის მოწინააღმდეგეებს, რომლებსაც იგი გაკაფულ გზებს აიცდენდა ხოლმე.

ტალის სტილი მეტად ინდივიდუალურია, მისი „ხელი ჭადრაკში“ სხვებისაში არ აგერევიან. შეუძლებელია ისწავლო ისე თამაში, როგორც ტალი თამაშობს (ვგულისხმობთ არა ძალას, არამედ მანერას). იგი დაჯილდოებულია—კვლავ ალიოხინის მსგავსად — უალრესად გამჭრიახი, „კომბინაციური ხედვით“ და განსაკვირებელი საჭადრაკო მეხსიერებით. თუმცაღა, იგი ამას იყენებს უფრო ომისათვის, რომ ისე არ ითამაშოს, როგორც სხვები თამაშობენ.

ტალს ახასიათებს კიდევ ერთი თვისება — თამაშის ხიმსუბუქე და არაჩვეულებრივი სისწრაფე. ვგონებ არც ერთ პარტიაში არ მოქცეულა იგი ცაიტნოტში, რომელმაც ამდენი მისი მოწინააღმდეგე დაღუპა. ერთ-ერთ ძვირფას თვისებაზედ დღეს ტალმა თვისებური დასვენება მოიწყო — მონაწილეობა მიიღო ძალიან ძლიერი შემადგენლობის ბლიცტურნირში — და ადვილად დაიკავა პირველი ადგილი.

ამრიგად, საჭადრაკო გვირგვინისათვის ბრძოლაში მიხეილ ბოტვინიკის მომავალი მოწინააღმდეგის სახელი ბოლოს ცნობილი გახდა. საინტერესოა გავიხსენოთ, თუ რამდენად ემთხვევა ტურნირის ეს მთავარი შედეგი ავტორიტეტთა წინასწარმეტყველებას, რომელიც მუდამ წინ უძღვის ყოველი დიდი შეჯიბრების დაწყებას.

პრეტენდენტთა ტურნირმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რამდენად სახიფათო და არასწორია სპორტულ წინასწარმეტყველთა პროფესია.

2,5 : 1,5 ტალის სასარგებლოდ, მან გამანადგურებელი ანგარიშით მოუგო ტურნირის უცხოელ მონაწილეებს (14-დან 18 — 26-ე ტურის შემდეგ), ყაიმით დაამთავრა მატჩი პეტროსიანთან— ოთხი ყაიმი! — და მხოლოდ ერთი მატჩი წააგო — კერესთან.

ესტონელი გროსმაისტერი — და, უნდა ითქვას, არცთუ უსაფუძვლოდ — ტურნირში მორალურ გამარჯვებულად მიაჩნიათ. მონაწილეთაგან უბოცესმა პაულ კერესმა თავისი გულშემატკივრებიც კი გააოცა — ხოლო გულშემატკივრები მას ყოველთვის ბევრი ჰყავდა. იგი სთავეში ედგა (14-დან 10). მაგრამ შემდეგ მას გაუსწორა ფინიშზე მძაფრად მოთამაშე ტალმა (რომელმაც მესამე წრეში აჩვენა სარეკორდო შედეგი — 7-დან 6!). „კერესს უფლება აქვს „სარჩელი“ წარუდგინოს სმისლოვს. ფინიშზე, მეოთხე წრის გადამწყვეტ მომენტში სმისლოვმა მას მოუგო, ტალთან კი წააგო ჩინებული პარტია ციტნოტში დაშვებული შეცდომის გამო. ეს რომ არა... მაგრამ, შეიძლება ითქვას, თვითეულ მოწინააღმდეგეს აქვს ასეთი „ეს რომ არა“. სატურნირო ცხრილში ამას მაინც ვერ მოათავსებ: ბრძოლა ბრძოლაა და დიდი ხანია ცნობილია, რომ ბედი ძლიერს სწყალობს.

კერესმა ახალგაზრდობა გაიხსენა და დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მისი უდიდესი საჭადრაკო ნიჭი წარმატებით ებრძვის დროს — წლები გავლენას ვერ ახდენს მის კომბინაციურ ოსტატობაზე. თუმცაღა იგი არანაკლებ ძლიერია დინჯ პოზიციურ თამაშშიც, მის ღრმა თეორიულ ცოდნას კი ყველაზე მეტად მოწმობს მის მიერ დაწერილი ბევრი საჭადრაკო წიგნი. მის პარტიებში ყურადღებას იპყრობს ღრმა სტრატეგიული შთანაფიქრი და მისი მკაფიო ტექნიკური განხორციელება. ჭაბუკურად ტანადს, მოხდენილ კერესს, ჩინებულ ჩოგბურთოელს რომ უყურებ, გინდა უსურვო ყველა მონაწილეს: უფრო მეტად მისდიეთ სპორტს!

რა თქმა უნდა, კერესისათვის საწყენია, კვლავ, ისევე როგორც სამი წლის წინათ, მეორე ადგილზე რომ დარჩა. ოვითეული გროსმაისტერი ხომ იმაზე ოცნებობს, რომ ორთაბრძოლაში შეხვდეს მსოფლიოს ჩემპიონს. ბრონშტეინმა მოახერხა ეს, მოახერხა სმისლოვმაც. კერესს კი ეს შესაძლებლობა მეორედ უსხლტება ხელიდან. ნუგეშად ის რჩება, რომ მან მოიპოვა საპატიო უფლება შეურჩევლად მიიღოს მონაწილეობა პრეტენდენტთა მომავალ ტურნირში. და — ვინ იცის? — თუ გავითვალისწინებთ მის მუშაობის უნარს, ობიექტურობას და თითქმის ყოველთვის კარგ სპორტულ ფორმას, კიდევ შესაძლოა ყველაფერი მოხდეს. ამრიგად, მსოფლიოს ჩემპიონის უძლიერესი კონკურენტები ახლო მეზობლები — ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მოჭადრაკეები აღმოჩნდნენ...

ტურნირის დიდი სენსაცია აღმოჩნდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ვახილ სმისლოვის წარუმატებლობა.

საჭადრაკო სამყარო სწორედ მას უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას. შემძლია თამამად ვთქვა ეს, ვინაიდან ამ ცოტა ხნის წინათ დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ვიყავი და თვალნათლივ დავრწმუნდი, თუ რა უდიდეს ინტერესს იჩენდნენ ტურნირისადმი. ვფიქრობ, შემძლია გავამყღავნო პატარა საიდუმლო: ბოტვინიკი, რომელთანაც ერთად ვიმგზავრე და რომელსაც რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად აინტერესებდა პრეტენდენტთა ტურნირის შედეგი, ისე იყო განწყობილი, რომ დაეწყო მზადება მეოთხე მატჩისათვის სმისლოვთან.

ახლა კი მსოფლიოს ჩემპიონი დაიწყებს ენერგიულ მზადებას მატჩისათვის საბჭოთა მოჭადრაკეების ახალგაზრდა თაობის უნიჭიერეს წარმომადგენელთან. ეს შეხვედრა უეჭველად საგებით განსაკუთრებულ ინტერეს გამოიწვევს. მაგრამ ამაზე, იმედი მაქვს, კიდევ მოვახერებ ვესაუბრო თბილისელ, ქართველ მეოთხველებს.

სმისლოვის წარუმატებლობას რომ ვუბრუნდები, გულახდილად უნდა ვთქვა, რომ მიჭირს მოვუნახო მას დამაჯერებელი ახსნა.

საქმე ალბათ ის არის, რომ — რორგორც ხშირად ავიწყდებათ — ჭადრაკში სპორტიც არის, ხელოვნებაც, და არა მარტო ტექნიკური ანგარიში. ჭანმრთელობის მდგომარეობისა და განწყობილებას სერიოზული კორექტივები შეაქვს მოჭადრაკის „ფორმაში“. რა თქმა უნდა, ყოველი სხვა მოჭადრაკისათვის მესამე-მეოთხე ადგილი ასეთ ტურნირში არ იქნებოდა ცუდი შედეგი. მაგრამ სმისლოვისაგან მეტს მოელოდნენ. ხოლო მას რომ ამის უნარი შესწევს, ამას გვიჩვენებს თუნდაც მისი შედეგი მესამე წრეში — 5,5 შვიდიდან. ექს-ჩემპიონის გულშემატკივარნი მოთმინებით უნდა ალიჭურვონ: დაპირებულსაც ხომ სამ წელიწადს უცდიან...

ასევე ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „რკინის“, „შეუღწევადი“, ტიგრან პეტროსიანი ტურნირში ოთხ დამარცხებას განიცდიდა. მოგაგონებთ, რომ სსრ კავშირის ორ უკანასკნელ ჩემპიონატში პეტროსიანს თითქმის ორმოცი პარტიიდან არც ერთი არ წაუგია. წარმატებითი სტარტის შემდეგ (2-დან 2!) ზედიზედ ორი დამარცხება რომ განიცადა, იგი ისე მოეშვა, რომ საჭირო აღმავლობით ვეღარ თამაშობდა. ყოველ შემთხვევაში მან ყველა მონაწილეთაგან უკეთეს შედეგს მიაღწია ორი პირველი პრიზიორის წინააღმდეგ — მოუგო მატჩი კერესს და ყაიმით დაამთავრა ტალთან.

ამრიგად, ოთხმა საბჭოთა მონაწილემ მტკიცედ დაიკავა ოთხი პირველი ადგილი. ეს კიდევ ერთი დიდი წარმატებაა საბჭოთა საჭადრაკო სკოლისა, რომელიც უძლიერესია მსოფლიოში.

იუგოსლავიელი გროსმაისტერის სვეტოზარ გლიგორიჩის მეხუთე ადგილის გაყოფა მოწმობს, რომ თქმა, „შინ კედლებიც გეხმარებაო“, ვერ მართლდება, თუ საბჭოთა კორიფეებს ეთამაშები.

ბევრ, მეტისმეტად ბევრ იმედს ამყარებდნენ მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა გროსმაისტერზე ამერიკელ რობერტ (ანუ, როგორც ყველა ეძახის, ბობი) ფიშერზე. მის არაჩვეულებრივ ნიჭიერებას მოწმობს არა იმდენად ის, რომ მან მოასწრო უკვე ორჯერ გამხდარიყო ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი და გაეწყრო გროსმაისტერ რეშევსკისათვის, რამდენადაც თვით ის ფაქტი, რომ იგი პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობდა. ამ ტურნირში ხომ მოხვდნენ უძლიერესნი ყველა ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეთაგან — სულ რვა გროსმაისტერი (მსურველი, როგორც ცნობილია, ბევრებით მეტი იყო). თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ ახლა დიდი წარმატების მოპოვება უფრო ძნელია, ვიდრე რამდენიმე ათეული წლის წინათ: თეორია და ჭადრაკის ტექნიკა, განსაკუთრებით დაცვის ოსტატობა, შორს წავიდა წინ. გარდა ნიჭისა, საჭიროა კიდევ დიდი ცოდნა და გამოცდილება. ბობის ასაჩქარებელი არაფერი აქვს: იგი სულ თექვსმეტი წლისაა, ძალიან პრაქტიკული, მუშაობა უყვარს და წარმატების მიღწევის უნარი აქვს. უეჭველია მისი სახით თანამედროვეობის უძლიერეს მოჭადრაკეთა მრისხანე მეტოქე იზრდება.

გროსმაისტერმა ფრედერიკ ოლაფსონმა (ისლანდია) და პალ ბენკომ (ამერიკის შეერთებული შტატები) ის ადგილები დაიკავეს, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, უნდა დაეკავებინათ. ვინმე ხომ უნდა იყოს უკანასკნელი! მაინც მათ რამდენიმე ხაკმაოდ კარგი პარტია ითამაშეს, ხოლო ოლაფსონმა მატჩიც კი მოუგო პეტროსიანს.

უეჭველია, ბენკოს შედეგზე ნაწილობრივ გავლენა მოახდინა მისმა ყოველად წარმოუდგენელმა — ნაცადი მეცაინტოტეებისთვისაც კი — ფათერაკებმა. იგი, როგორც წესი, რამდენიმე წუთს იტოვებდა 15-20 სვლისათვის და კმაყოფილი იყო, თუ ყველა სელის გაკეთებას მოასწრებდა. მაგრამ ეს მას ნულებისაგან როდი იხსნიდა. 28 პარტიიდან მან მხოლოდ სამი მოიგო — და ისიც სასწაულით.

ამრიგად, „ჭადრაკის მარათონი“ დამთავრდა.

დაიღალნენ არა მარტო მონაწილენი, არამედ ჟურნალისტებიც. დაღლილობის ნიშნებს არ იჩენენ მხოლოდ ჭადრაკის თავდადებული გულშემატკივარნი.

ახლა ცოტა დავისვენოთ, შემდეგ კი ერთმანეთს შევხვდეთ ბოტვინიკ-ტალის მატჩზე.

ვბედავთ ვიწინასწარმეტყველოთ მხოლოდ ერთი რამ: მსოფლიოს ჩემპიონის სახელი „მიხეილი“ იქნება.



ბლედის ტბა (იუგოსლავია), რომლის სანაპიროზეც ცხოვრობდნენ პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის მონაწილენი

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

წერილი ლონდონიდან

ინგლისელები ელიან ქართველ მოცეკვავეებს

ალბათ ყველა წერილი, რომელიც კი ოდესმე ლონდონიდან გამოუგზავნიათ ოქტომბრის მიწურულსა თუ ნოემბრის დასაწყისში, ყოველთვის დაახლოებით ასე იწყებოდა ხოლმე: „ლონდონში ახლა ჩვეულებრივი შემოდგომის წვიმები და ნისლია...“

მაგრამ ამჯერად ასეთი წერილი ვერ დაიწერება. ლონდონში საოცარი „ქართული“ შემოდგომაა.. თბილა, მზიან დღეებს იშვიათად გამოერევა წვიმიანი...

თითქოს საუკუნიდან საუკუნემდე ნისლებში და ბურუსში ჩაფლული ალბიონი ქართველ ქალ-ვაჟთა მოლოდინში მზიან ამინდს ვერ თმობს, ბუნების სტიქიონს ებრძვის, ინგლისურ შემოდგომას არ იკარებს...

ლონდონის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში კენსინგტონში დგას უზარმაზარი შენობა — როიალ ალბერტ ჰოლი... ეს ლონდონის ყველაზე დიდი საკონცერტო დარბაზია... ეს ის დარბაზია, სადაც ამ 23 წლის წინათ ქართველმა მოცეკვავემ ილიკო სუხიშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა... აქ ელოდებიან ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს...

უკვე მოეწყო პრეს-კონფერენცია, ჟურნალები და საკონცერტო ცნობარები ბეჭდავენ ქართული ცეკვის კონცერტების განრიგს. ინგლისური სტამბა აწყობს ანსამბლის პროგრამის ტექსტს და მოკლე ცნობებს ქართული ცეკვების, თვით მოცეკვავეებისა და საქართველოს ისტორიის შესახებ...

ალბერტ ჰოლის წინ გაკრულია დიდი აფიშა, რომელზეც გამოსახულია ქართველი მოცეკვავე — ჩოხიანი ვაჟი...

ბილეთების სალარო დღენიადაგ სავსეა ხალხით...

9 ნოემბერს ქართველი მოცეკვავეების პირველი კონცერტია და მათი გამარჯვებებით გაჟღენთილნი ახლაც ვიმედოვნებთ, რომ ეს კონცერტი ჩვენი ხალხური შემოქმედების, ჩვენი ეროვნული კულტურის მორიგ ზეიმად გადაიქცევა.

ნ. მაჩხანელი.

ლონდონი
26 ოქტომბერი.

სურათზე: ინგლისური ჟურნალის „ცეკვებისა და მოცეკვავეების“ წინასწარი სანოემბრო ნომერი, რომლის გარეკანზეც დაბეჭდილია საქართველოს ცეკვის დამსახურებული ანსამბლის ერთ-ერთი გამოსვლა და ცნობა ამ ანსამბლის მომავალ გასტროლებზე ინგლისში.

აღმოჩენილია სამასამდე ხელნაწერი...

ჭიათურა. (საკ. კორ.). ზემო იმერეთის რაიონებში ამას წინათ იმყოფებოდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილების ექსპედიცია. მან შეაგროვა ბევრი საინტერესო ნივთიერი და დოკუმენტური მასალა, ჩაიწერა მოხუც ადამიანთა მოგონებები, ძველი დროის თქმულებები და ლეგენდები, მოახდინა ისტორიული ძეგლების აღნუსხვა და აღწერა.

ექსპედიციას ფრიად საინტერესო ცნობები მიაწოდა სოფელ ჭილოვანში მცხოვრებმა პენსიონერმა მასწავლებელმა ნ. ტყემალაძემ. სოფელ ჩხიროულის ეკლესიაში აღმოაჩინეს XIX საუკუნის სამასამდე ხელნაწერი, რომლებიც შეიცავენ საყურადღებო ცნობებს. სკერელმა კ. ცუცქირიძემ. სახელმწიფო მუზეუმს გადასცა მის მიერ შეგროვებული ასამდე ისტორიული დოკუმენტი, რომელთა შორის ზოგი XVIII საუკუნეს მიეკუთვნება და მეცნიერებისათვის საინტერესოა.

ხევსურები გარში გადმოსახლდნენ

დუშეთი. (საქართ.). ბაზალეთის ტბის მახლობლად მწვანეში მოჩანს ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დამორეული კოხტა სახლები. თითოეულ მათგანში 3 ოთახია, აქვს მოზრდილი ეზო და დამხმარე ნაგებობანი. ეს სოფელ მლაშეს კოლმეურნეობის მიერ სპეციალურ პროექტით აგებული სოფელია, რომელსაც ახალსოფელი უწოდეს. გადმოსახლდა ხევსურების სოფლების ამღა, ჭიმღალ და ახრელას 30 ოჯახი, რომლებიც მკაცრმა მთის ბუნებამ აიძულა ბარში ეძებნათ თავშესაფარი.

ზამთრის პერიოდში მთებში მცხოვრები ხევსურები დიდ უხერხულობას განიცდიდნენ. წყდებოდა კავშირი რაიონულ ცენტრთან, ძნელდებოდა ჟურნალ-გაზეთების, ფოსტის მოწოდება, ფერხდებოდა ბავშვების მომარაგება. ახლა ახალსოფელში ყოველდღე იღებენ ახალ გაზეთებსა და ჟურნალებს, მალე აქ გაიხსნება შერეული საქონლის მაღაზია.

ქურდები შეიპყრეს

ი. ა. ნადირაძე ქურდობისათვის რამდენჯერმე იყო გასამართლებული, მაგრამ თავისი არ დაიშალა. ამ დღეებში მან ამხანაგთან ერთად ახასთუმნის ქუჩაზე მცხეთის რაიონიდან ჩამოსულ მოქალაქე გ. დალაქიშვილს ჯიბიდან ამოაცალა ფული, საბუთები და ჯიბის დანა. გუშაგმა მილიციელებმა ნადირაძე დაიკავეს ხოლო მისი ამხანაგი მიიმალა. გაჩხრეკის დროს ნადირაძეს აღმოაჩნდა დალაქიშვილის ჯიბის დანა და ფული, ხოლო საბუთები ტროტუარზე ეგდო.

თბილისის სადგურის მოედანზე, ტაქსის გაჩერებასთან მოქ. გ. ჯირკველიშვილს მოპარეს ჩემოდანი, რომელშიც იყო საბუთები, ფული და პროდუქტები. ჩემოდნის დაკარგვის შესახებ დაზარალებულმა განუცხადა სადგურის მოედანზე მორიგეს, მილიციის კაპიტან კ. სამხარაძეს. ქურდი მალე დაიკავეს. იგი აღმოჩნდა ო. პ. ნათინაძე.

მალე დამნაშავეებმა სასამართლოს წინაშე წარსდგებიან.

ი. ბურადაშვილი.

რედაქტორი
დ. მჟელლიშვილი.

მონადირეთა საყურადღებოდ!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით, სანადირო თოფების რეგისტრაციისა და ძველი ნიმუშის სანადირო ბილეთების ახალი ნიმუშის ბილეთებით შეცვლის ვადა გაგრძელებულია ამა წლის 1 ნოემბრამდე. საქართველოს მონადირეთა კავშირი განმეორებით აფრთხილებს და სთხოვს რეგისტრაციის გარეშე დარჩენილ ყველა მონადირეს აუცილებლად გატარდეს რეგისტრაციაში და მიიღოს ახალი ნიმუშის სანადირო ბილეთი „მონკავშირში“ ა.წ. პირველ ნოემბრამდე. ის მონადირეები, რომლებიც ამა წლის 1 ნოემბრამდე თავიანთ სანადირო თოფს არ გაატარებენ რეგისტრაციაში და არ შესცვლიან ძველ ბილეთს ახალი ნიმუშის სანადირო ბილეთით, მათი სია საბოლოოდ გადაეცემა მილიციის ორგანოებს თოფების ჩამოსართმევად, თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 17 თებერვლის დადგენილებისა.

საქართველოს „მონკავშირის“ პრეზიდიუმი

დისერტაციის დაცვა

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 1)

1959 წლის 11 ნოემბერს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გრიგოლ ალექსიძე გაგბილოძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**სახალხო განათლება აჭარის ახს რესპუბლიკაში (1921-1957 წ.წ.)**“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

ყაღეპიჯია

30 ოქტომბერი

19.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „აი რას გვიამბობენ კომკავშირელი აქტივისტები“, 19.40 — კინონარკვევი, 20.00 — ახალი სატელევიზიო დოდგმა „ქაღალდის კაცი“, 20.55 — კინოჟურნალი, 21.05 — ახალი მხატვრული ფილმი „პარიზის გარეუბანში“.